ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის  სკოლა (ფაკულტეტი)

ისტორიის მიმართულება

ხელნაწერის უფლებით

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
,,საქართველოს ისტორია“

თამარ ფარჩუკიძე

# საეკლესიო განათლების ისტორიის ძირითადი საკითხები XI-XII საუკუნეების საქართველოში

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

სადისერტაციო მაცნე

თბილისი -  2015

## ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება
თემის აქტუალობა
კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები
ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები
კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები
ნაშრომის თეორიული ღირებულება
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა
ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა
ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**თავი I. განათლების ისტორიის ევოლუციის ეტაპები საქართველოში. მათი ზოგადი დახასიათება**

§1. ცოდნის მიღების ტრადიციები ძველ საქართველოში და საეკლესიო განათლების ძირითადი ეტაპები (VI- X სს.)
§2. სამონასტრო საგანმანათლებლო საქმიანობა XI-XII საუკუნეებში

**თავი II. ქართული სამონასტრო უმაღლესი სკოლები და ევროპული უნივერსიტეტები XI-XII საუკუნეებში**

§ 1. „გენათი“ - პირველი ქართული საეკლესიო უმაღლესი სკოლის იდეური საფუძვლები
§ 2. გელათის მონასტრის სახელდების საკითხისათვის
§ 3. ახალი ქართული უმაღლესი სკოლის სათავეებთან
§ 4. ქართული უმაღლესი სკოლები და ევროპული უნივერსიტეტები

**თავი III. საეკლესიო განათლების ძირითადი მახასიათებლები**

§ 1. ტერმინების: „განათლების'' და „სასულიერო განათლების“ შესახებ

§ 2. ქართული სამონასტრო უმაღლესი სკოლის სტრუქტურა და სასწავლო პროცესის ორგანიზება

**თავი IV. საეკლესიო განათლების პრინციპები და სახელმწიფოებრივი ასპექტები XI-XII საუკუნეების საქართველოში**

§ 1. სწავლების საყოველთაოობისა და საერთაშორისოობის პრინციპების შესახებ
§ 2. სამეფო კარის საგანმანათლებლო პოლიტიკა

**დ ა ს კ ვ ნ ა**

**სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული შრომები**

# ნაშრომის ზოგადი დახასიათება

სადისერტაციო ნაშრომი „საეკლესიო განათლების ძირითადი საკითხები XI-XII საუკუნეების საქართველოში“ ეძღვნება საქართველოს ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვანი, – „ოქროს საუკუნის“ ეპოქის საგანმანათლებლო საქმიანობის პრობლემურ საკითხებს.

ნაშრომში ქრისტოლოგიურ ჭრილშია გააზრებული ეპოქის საეკლესიო განათლების სფეროს, როგორც ქართული სახელმწიფოსა და ზოგადად, კავკასიური ცივილიზაციის კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის მსოფლმხედველობრივი არსი; აღწერილია მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები, უწყვეტი და ორგანული კავშირი, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სასწავლო ცენტრებს შორის.

საერთო ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში განხილულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითადი მახასიათებლები.

შესწავლილია იმჟამინდელი ქრისტიანული სამყაროს ორი ცნობილი ქართული მონასტრის, პეტრიწონისა და გელათის სავანეთა შორის არსებული არქიტექტურული ანსამბლებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული ასპექტები, მათში მიმდინარე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესები, უმაღლესი სკოლების კონცეფციათა და სასწავლო-მეთოდოლოგიურ მახასიათებელთა მსგავსება, აგრეთვე, ამ სფეროს იდეოლოგიური მიმართულების შემქმნელ მუშაკთა მიერ გაწეული ღვაწლი.

საქართველოშიც, ისევე, როგორც მედიევალურ სამყაროში, განათლების ისტორია, უპირველესად, საეკლესიო განათლების ისტორიაა. საბჭოური მკაცრი ცენზურის პირობებში, ქართველ ისტორიკოსთა მიერ საკითხის დამუშავება ხდებოდა გარკვეული  იდეოლოგიური წნეხის ქვეშ და მეტ-ნაკლები ათეისტური თუ სარწმუნოებრივი მიდგომებით.

1888 წლიდან მოყოლებული გელათის მონასტერს სამეცნიერო კვლევები მიუძღვნეს დ. ღამბაშიძემ, ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, წმიდა ექვთიმე ღვთისკაცმა (თაყაიშვილმა).

საკითხის კვლევა განავითარეს გ. ჩუბინაშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, კ. კეკელიძემ, ბ. ლომინაძემ, ნ. ბერძენიშვილმა, ლ. მენაბდემ, რ. მეტრეველმა, დ.მელიქიშვილმა და სხვ.

გელათის აკადემიის ისტორიისა და იოანე პეტრიწის ღვაწლის ქრისტოლოგიური თვალსაზრისით გააზრებისათვის მნიშვნელოვანია რ. სირაძისა და ზ. გამსახურდიას წერილები.

საგანმანათლებლო სფეროს სხვადასხვა საკითხთა ირგვლივ კვლევაში განხილული თემები და ჩამოყალიბებული მოსაზრებები ემყარება იმ შრომებს, რომლებიც ეკუთვნით თანამედროვე მკვლევარ-მეცნიერებს: მ. ლორთქიფანიძეს, ს. ვარდოსანიძეს, ე. ბუბულაშვილს, ე. ჭელიძეს, გ. თევზაძეს, ნ. ვაჩნაძეს, გ. ალიბეგაშვილს, გ. მურღულიას, გ. ოთხმეზურს, ლ. გიგინეიშვილს და სხვა.

ხსენებულ ავტორთა ნაშრომებმა საფუძლიანად ჩაგვახედა საკვლევი პრობლემის სიღრმეში. მათი ღვაწლისადმი პატივისცემისა და სულიერი მემკვიდრეობითობის განცდამ კი შთაგვაგონა ჩვენეული თვალთახედვითაც წარმოგვეჩინა კარგად ნაცნობი თემები და მოვლენები, აგრეთვე, ჩამოგვეყალიბებინა საკუთარი მოსაზრებები, იდეები და წინადადებები.

წინამდებარე კვლევის ძირითადი წყაროებია ისტორიული და რელიგიური ხასიათის ტექსტები, ფილოსოფიის, ისტორიის, პედაგოგიკის და ლიტერატურის კლასიკოსთა, ღვთისმეტყველ და წმიდა მამათა თხზულებები, ქართული ჰაგიოგრაფიული ტექსტები და მემუარული ხასიათის მასალები, ფაქტები, დოკუმენტები, პერიოდიკა, მხატვრული ლიტერატურა, ინტერნეტრესურსები.

კონკრეტულ შემთხვევაში კი ყველაზე სარწმუნოდ მივიჩნიეთ ისეთი უტყუარი მტკიცებულება, როგორიცაა გელათის კარიბჭის არქიტექტურული დეტალი, რომელიც კვლევის ძირითადი ნაწილის ამოსავალ წერტილად იქცა. გელათის და მისივე იდენტურმა პეტრიწონის მონასტრის ემბლემათა **ქვითმეტყველებამ** შესაძლებლობა მოგვცა განსხვავებული რაკურსით განგვეხილა საკითხთა გარკვეული წყება.

**სადისერტაციო თემის აქტუალობა:** სადისერტაციო თემის აქტუალობა უშუალოდაა დაკავშირებულია ქვეყანაში ამჟამად მიმდინარე მეცნიერებისა და განათლების რეფორმასთან, რომლის

აუცილებელ პირობად გვესახება თანამედროვე საგანმათლებლო სისტემის ორიენტირთა წარსულის გამოცდილების კონტექსში გააზრება და მისი დაფუძვნება ჩვენი ქვეყნის მდიდარ საგანმანათლებლო ტრადიციებზე.

ეყრდნობა რა, იმ ქვეყნების გამოცდილების ანალიზს, რომლებმაც მოკლე დროში შთამბეჭდავ ეკონომიკურ წარმატებებს მიაღწიეს, თანამედროვე ეპოქის მეცნიერებათა ავანგარდში მყოფი ,,ცოდნის ეკონომიკა" ასაბუთებს, რომ მკვეთრი პროგრესული ნახტომი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფოს იდეოლოგიური კურსის პრიორიტეტად დაისახება განათლებისა და მეცნიერების წინსვლა და მოხდება აკადემიურ ძალთა და მატერიალური რესურსების მობილიზება რეფორმატორული ღონისძიებების განსახორციელებლად. თანამედროვე კვლევამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ ასეთი გამოცდილება საქართველოსთვის ისტორიული რეალობაა. საკითხისადმი ჩვენს ინტერესს განსაზღვრავს, აგრეთვე, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელი ისეთი მნიშვნელოვანი და უძველესი საკითხის რეაქტუალიზება, როგორიცაა ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართების პრობლემა.

**კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ძირითად მიზნად დავისახეთ წარმოგვეჩინა, რომ საქართველოს ისტორიაში საეკლესიო განათლების „ოქროს ხანა" იყო ერთი მხრივ, ეკლესიის წიაღში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმის ევოლუციური აღმავლობის, ხოლო მეორე მხრივ, საერო და საეკლესიო იერარქთა ერთნებობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ლოგიკური შედეგი.

შევეცადეთ, ჩვენში ნაკლებად ცნობილ ქართულ და უცხოურ მასალებზე დაყრდნობით განგვემტკიცებინა ღირსი იოანე ჭიმჭიმელის (პეტრიწის), როგორც იმჟამინდელი საეკლესიო განათლების სფეროს ნოვატორის შესახებ არსებული შეხედულებები; მისი სამოღვაწეო დროის ირგვლივ უკანასკნელ ხანს დამკვიდრებული განსხვავებული მოსაზრების ფონზე, დაგვესაბუთებინა, რომ იგი იყო წმიდა დავით აღმაშენებლის თანამედროვე და თანამოაზრე, რომელმაც იდეოლოგიური და ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ უმაღლეს სკოლას ჯერ პეტრიწონის, შემდეგ კი გელათის მონასტრებში.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები:** კვლევის შედეგად, გადაწყვეტილია XI-XII საუკუნეების საქართველოს საეკლესიო განათლების რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. კერძოდ:

- დასაბუთებულია გელათის მონასტრის დაარსების თაობაზე „ქართლის ცხოვრების" ტექსტის ანა დედოფლისეული ვარიანტის მართებულობის საკითხი;
- გამოვლენილია პირველი ქართული საუნივერსიტეტო ჰერალდიკური ნიშნების – გელათის სამეცნიერო–საგანმანათლებლო ცენტრის ემბლემისა და მისი პირველწყაროს – პეტრიწონის სამონასტრო სკოლის სიმბოლოთა მსგავსება;
- გამოკვლეულია გელათის აკადემიის სახელდების საკითხი;
- დამტკიცებულია იოანე ბატონიშვილის ცნობები მართებულობა ღირსი იოანე ჭიმჭიმელის პეტრიწად სახელდების შესახებ;
- არგუმენტირებულია ღირსი იოანე ჭიმჭიმელის პეტრიწად წოდების ჩვენეული ვერსია.
- წარმოჩენილია პეტრიწონისა და გელათის მონასტრების ქტიტორთა: გრიგოლ ბაკურიანის ძისა და დავით აღმშენებლის სარწმუნეობრივი, მსოფლმხედველობრივი და იდეოლოგიური თანამოაზრეობისა და მათ შორის ოლამური ერთობა;
- როდოპის საიდუმლო წარწერიანი კლდის არსებობისა და პეტრიწონის სავანესთან მისი სიახლოვის ფაქტის საფუძველზე, შემოთავაზებულია კონკრეტულ პრობლემათა ახლებური ვერსიები;
- ჩვენეული თვალთახედვით ახსნილია ზოგიერთი საგანმანათლებლო ტერმინი და სხვა საკითხები.

კონკრეტული თეორიულ–პრაქტიკული ხასიათის მონაცემებისა და ანალოგიების საფუძველზე, შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ გელათის აკადემია არის არა „მანგანას აკადემიის ასლი," არამედ, დიდ ქართველ მოღვაწეთა მიერ დაფუძნებული პეტრიწონის მონასტრის ანალოგია და ამასთან, განვითარების უფრო მაღალი საფეხურის მოვლენა. ჩვენი დაკვირვებით, მსგავსებები

გამოხატულია სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობის, სამეცნიერო–საგანმანათლებლო მიზნების, სასწავლებლის სიმბოლოებსა და სხვა პარალელებში;

1904 წელს, ბელგიელმა ორიენტალისტმა ლუი პეტტიმ პეტრიწონის სასწავლებელს „პირველი ევროპული სემინარია“ უწოდა. ცნობილი წყაროების განსხვავებული ხედვითა და ნაკლებად ცნობილი მასალების საშუალებით, ჩვენ შევეცადეთ გაგვემყარებინა ეს მოსაზრება. კვლევამ წარმოაჩინა, რომ ევროპული საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიჟრაჟზე, პეტრიწონისა და გელათის სასწავლო ცენტრები თვისებრივად ახალი, განსხვავებული მოვლენებია და ანტიკური აკადემიების ხანიდან გარდამავალ ეტაპზე ისინი წარმოადგენენ უნივერსიტეტის ტიპის უმაღლეს სკოლებს. მათ გააჩნდათ თანადროული ევროპული უმაღლესი სკოლებისათვის დამახასიათებელი ანუ საუნივერსიტეტო განათლების რეალური, ხოლო ზოგიერთი პარამეტრით ისეთი წინმსწრები ნიშნები, როგორიცაა სამონასტრო განათლების სამეცნიერო და მსოფლმხედველობრივ–იდეოლოგიური საფუძვლები, საკუთარი სასწავლო ბაზა, ჰერალდიკური სიმბოლოები, თვითკმარი მეურნეობა და სხვა.

ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი მასალები წმიდა ექვთიმე ღვთისკაცისა (თაყაიშვილი) და წმიდა კირიონ მეორის არქივებიდან.

კვლევის პროცესში ჩამოყალიბდა, აგრეთვე, ახალ ამოცანათა სპექტრი: კონკრეტულ საკითხთა მსოფლიო საგანმანათლებლი კულტურის კონტექსტში განხილვამ დაგვარწმუნა, რომ არსებობს თემები, რომელთა მასშტაბები სცილდება სადისერტაციო ნაშრომის ფორმატს და მოითხოვს კვლევის შემდგომ გაგრძელებას, მათ შორის ინტერდისციპლინარული და ინტერნაციონალური (ქართულ-ბულგარული და ქართულ–ბერძნული) მიმართულებით.

**კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:** ნაშრომში გამოყენებულია როგორც თანამედროვე ევროპული და სამამულო ისტორიოგრაფიული, ისე ზოგადსამეცნიერო მეთოდოლოგია.

კულტურულ-ისტორიული, სისტემურ-კომპლექსური და ანალიტიკური მიდგომების შედეგად, საკითხები გამოკვლეულია შედარებითი, ლოგიკური და რეტროსპექტიული მეთოდებით. ნაშრომის კონკრეტულ მონაკვეთებში გამოყენებულია, აგრეთვე, კვლევის სინქრონული და დიაქრონული მეთოდები.

ანტიკურ-ბიზანტიური ეპოქებისა და მედიევალური ევროპის განათლების სისტემების ანალოგიის პრინციპით, ტიპოლოგიურ-შედარებითი მეთოდისა და ინტერდისციპლინარული მიდგომების საშუალებით წარმოდგენილია ადრე შუა საუკუნეების საეკლესიო განათლებისათვის დამახასიათებელი სასწავლო ტრადიციების, უმაღლესი სკოლების საგანმანათლებლო პროცესის შინაარსისა და სწავლების მეთოდიკის ზოგადი სურათი. ინდუქციური მიდგომებით განზოგადებულია საკითხის ზოგადეპოქალური ტენდენციები.

რეტროსპექტიული და ანალოგიის მეთოდების გამოყენებით, გვიანდელ და თანამედროვე მასალებზე დაყრდნობით, წარმოჩენილია საკვლევი სფეროსათვის დამახასიათებელი ზოგადი ხასიათის მსგავსებანი, რაც მიანიშნებს, საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების მემკვიდრეობით ბუნებას.

ანალიზის მეთოდის საშუალებით, მთლიანი მასალის კონკრეტულ შემადგენელ ნაწილებად დაშლით, შევეცადეთ გაგვეშუქებინა პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხები. ხოლო თეორიული სინთეზის მეთოდის გამოყენებით მოხდა პრობლემის ერთ მთლიანობაში წარმოდგენა.

აღნიშნულ საყოველთაოდ ცნობილ, ტრადიციულ ისტორიოგრაფიულ მეთოდებთან ერთად, შემორჩენილი ცალკეული წარსულის ფრაგმენტული წყაროებისა და არტეფაქტების საფუძველზე, შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, აღგვედგინა რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული კონკრეტული ისტორია. ჩვენს ამ მცდელობას, რეკონსტრუქციის მეთოდისაგან განსხვავებით, ვუწოდეთ **რესტავრაციის მეთოდი.** თავის მხრივ, ამ გზაზე საჭირო გახდა გამოგვეყენებინა ზოგადსამეცნიერო კვლევის ისეთი მეთოდებიც, როგორიცაა მეცნიერული აბსტრაქციის, ანალოგიისა და შედარების, ინდუქციისა და დედუქციის, სისტემური და ლოგიკური კვლევის მეთოდი და სხვა.

რელიგიის ისტორიის კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხთა შესწავლისა და მათი საფუძვლიანი გააზრებისათვის, მეცნიერული ლოგიკის კვალდაკვალ, აუცილებელ პირობად გვესახება კვლევის არატრადიციული მეთოდების გამოყენებაც. მათ შორისაა, შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ისტორიული პროცესების გაგების პროვიდენციალური მეთოდი, რომელიც

მოვლენებს ღვთისაგან განპირობებული განგებულებით ხსნის და ყოველ ისტორიულ ფაქტის საზრისს ზნეობრივ პრიზმაში ატარებს. საკითხის ოლამური საზრისით მიდგომამ კი შეგვაძლებინა სხვადასხვა დროში მოღვაწე ისტორიულ პირთა და მოვლენათა შორის სულიერი კავშირების დანახვა.

**ნაშრომის თეორიული ღირებულება და პრაქტიკული მნიშვნელობა:** ნაშრომში თანამედროვე ხედვითაა გააზრებული ჩვენი ქვეყნის ისტორიის სულიერი თავგადასავლის ერთი მონაკვეთი, რომლის შედეგებს აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მათი გამოყენება შესაძლებელი იქნება თანამედროვე საერო და საეკლესიო სკოლების, გიმნაზიების და უმაღლესი სასულიერო სასწავლებლების სასწავლო-სალექციო კურსების მოსამზადებლად, უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში შესატანად, პრაქტიკაში გამოსაყენებლად, წარსულის გამოცდილების გასათვალისწინებლად და თანამედროვეობაში დასანერგად.

წარმოდგენილი მასალები და კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებული იქნას შუა საუკუნეების საქართველოს განათლების ისტორიის შემდგომი გაღრმავებული შესწავლის მიზნით.

ჩატარებულმა კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა ჩამოგვეყალიბებინა კონკრეტული რეკომენდაციები და წინადადებები.

**ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:** სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა განსაზღვრა კვლევის მიზანმა, მასზე მუშაობის მსვლელობამ და დასახულმა ამოცანებმა. დისერტაცია შედგება შესავლის, ოთხი თავის, ათი პარაგრაფისა და დასკვნისაგან. თან ერთვის შენიშვნები, გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

# ნაშრომის ძირითადი შინაარსი

## თავი I. განათლების ისტორიის ევოლუციის ეტაპები საქართველოში და მათი ზოგადი დახასიათება

### § 1. ცოდნის მიღების ტრადიციები ძველ საქართველოში და საეკლესიო განათლების ძირითადი ეტაპები (VI- X სს.)

ნაშრომის პირველი თავის პირველ პარაგრაფში განხილულია ცნობები ძველი კოლხეთის განათლების დონის შესახებ, რომლებიც, ძირითადად, ეფუძვნება უცხოურ წყაროებს. არაერთი ბერძენი მემატიანე აღნიშნავს აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის განვითარებულ ქალაქებში მცხოვრები კოლხი მოსახლეობის „სახელმწიფოებრივი და კანონიერი“ ცხოვრების, მათი განათლებულობის დონის, დამწერლობისა და სასწავლებლების არსებობის, აგრეთვე მულტიკულტურული გარემოსათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნების შესახებ.

სამამულო ისტორიოგრაფიაში ქართული (კოლხური) ცოდნის ექსპორტის თაობაზე ადრევე არსებული აზრის (ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი და სხვ.) კიდევ ერთ მტკიცებულებად იქცა 2007 წელს კოლხური ოქროდამწერლობის (ხრისოგრაფია) ნიმუშის დეშიფრირების ფაქტი („ფესტოსის დისკო“), რომელმაც ცხადყო, რომ უძველესი ცივილიზაციებისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის შენახვისა და გავრცელებისათვის ნიშანდობლივი თიხაზე დამწერლობის ეს ფორმა დამახასიათებელი იყო კოლხური სინამდვილისთვისაც და სცილდებოდა მის ფარგლებს.

დასავლეთ საქართველოში განვითარებული საქალაქო ცხოვრების პირობებში არსებობდა გარკვეული თანმიმდევრული და საფუძვლიანი სწავლების სისტემა, – კონკრეტული პროგრამებით, მეთოდებითა და ამოცანებით, რომელიც საშუალებას აძლევდა მოსწავლეებს მიეღოთ ეპოქის შესაფერისი განათლება, მათ შორის, პოლიტიკური და იურიდიული. ამის დასტური იყო წინა აზიაში კარგად ცნობილი ფაზისის კოლხური აკადემია.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შეინიშნება ეპოქისათვის ნიშანდობლივი ცივილიზაციის შესატყვისი ანალოგიური პროცესები, რამაც განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა უმაღლესი განათლების კოლხური ტრადიციები.

ქრისტიანობის შემოსვლით, ცოდნისა და განათლების ცნებებმა და სწავლებამ შეიძინა თვისობრივად ახალი შინაარსი და მასშტაბები. გავრცელდა ქრისტიანული სკოლების პირველსახედ მიჩნეული, პრაქტიციზმზე დაფუძნებული ადრე ქრისტიანობის ხანის საეკლესიო სწავლების ფორმა (ნიზიბინის სკოლები).

V საუკუნიდან საზღვარგარეთ დაწყებული ქართველთა სამონასტრო ცხოვრების (სირიაში – პეტრე იბერი, იერუსალიმში – საბა განმწმენდელი) მიერ დაარსებული მონასტრებისა და მათში არსებული შესატყვისი სასწავლო სისტემების გაგრძელებად იქცა საეკლესიო განათლების ახალი ეტაპი საქართველოში, რომელიც იწყება VI საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ქართველთა მიერ ქართლის კათოლიკოსის ტახტის დაკავებისა (დაახლ. 525-535) და ასურელ მამათა შემოსვლის შემდეგ საგანმანათლებლო საქმიანობამ განვითარება ჰპოვა სამონასტრო ცხოვრებაში. პარალელურად, მუშაობას განაგრძობდა მანამდე არსებული სხვადასხვა სახის საერო სასწავლო წრეები, სადაც ხდებოდა მედიკოსთა, ხუროთმოძღვართა, ხელოსანთა და სხვა პროფესიის მუშაკთა მომზადება.

VIII საუკუნეში, არაბობის გამო, პოლიტიკური და ეკლესიური აღმავლობის ცენტრმა ტაო-კლარჯეთში გადაინაცვლა. წიგნთა სიმრავლით გამორჩეულ საგანმანათლებლო-კულტურული ცხოვრების ამ ცენტრებში არსებობდა „სათანადო პირობები," ეპოქის შესაფერისი განათლების მისაღებად.

## § 2. სამონასტრო საგანმანათლებლო საქმიანობა XI-XII საუკუნეებში

წარმოდგენილ პარაგრაფში შევეცადეთ სამონასტრო საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალფეროვანი თემატიკიდან წარმოგვეჩინა სასწავლო საგანმანათლებლო საქმიანობის რამდენიმე ძირითადი საკითხი. მათ შორის, ამ პროცესის მთავარ სუბიექტთა: მოძღვრისა და მოსწავლის სულიერი პორტრეტები, ,,უვერცხლო მწიგნობრის," მოძღვარ-მასწავლებლის სამოსელის ერთ–ერთი დეტალის ქართული სახელწოდების და სამონასტრო სწავლების ზოგიერთ სფეროს (სამონაზვნედ აღზრდა, სამონასტრო მხედრული აღზრდა, ხელოსნურ საქმეთა სწავლება, სამონასტრო წიგნსაცავები და სხვა) საკითხები.

საუკუნეთა განმავლობაში ეკლესია–მონასტრები იყო განათლების მიღების ერთადერთი ადგილი, სადაც სისტემური სასწავლო–საგანმანათლებლო საქმიანობა ემყარებოდა ერთი მხრივ, საკუთარ ენასა და დამწერლობაზე შექმნილ ორიგინალურ ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და ლიტერატურულ შემოქმედებას, ხოლო მეორე მხრივ – თანადროული ქრისტიანული სამყაროს საუკეთესო სააზროვნო მონაპოვარს – ნათარგმნ მემკვიდრეობას.

ჩვენმა ეკლესია–მონასტრებმა შემოინახა საეკლესიო და ისტორიული ცოდნის გადაცემის უძველესი და მდიდარი ტრადიციები. მონასტერთა მოსაგრეების ღვაწლი მაცხოვნებელი ცოდნის შენახვა-გამრავლების საქმეში ის ,,უძვირფასესი სამკაულია," რომლის გარეშეც ჩვენი ისტორია იქნებოდა ,,გაუგებარი, არასრული, უფერული, უსიცოცხლო" (წმიდა კირიონ მეორე).

XI-XII საუკუნეების საქართველოში გავრცელებული იყო იერუსალიმის ქართველთა მონასტრიდან მომდინარე და ათონის, პეტრიწონის და გელათის ლავრებში გავრცობილი, სამონასტრო მოწყობის, ასე ვთქვათ, მიკრომოდელები: მონასტერი, სკოლა, სასაპყრე („ქსენონი"). საბოლოოდ ჩამოყალიბდა იდეალი „სიმშვიდით და მოთმინებით" შემკული, „მსახურებასა შინა აღუზევებელი" მოძღვრისა, რომელიც არა მხოლოდ „სიტყვითა ასწავლებდა," არამედ, საქმით უჩვენებდა „სულისა სასარგებლოს." ასეთი ატმოსფერო ქმნიდა პირობებს, რომლის დროსაც ცოდნის მიღება სავალდებულოსთან და სასარგებლოსთან ერთად სასიამოვნოც იყო.

წმიდა დავითის ეპოქაში მოძღვრის იდეალიზებას, სახელმწიფო მსახურების რანგში საკუთარი მისიის გააზრებას ჩვენ ვუწოდეთ „უვერცხლო მწიგნობრის" ფენომენი, რისი თვალსაჩინო

გამოხატულებაა მაღალი ღირსების მქონე მოძღვარ-მოხელის (მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი) ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

ევროპული სინამდვილეში სასწავლო პროცესი ადგილობრივთათვის უცხო, ძველ ლათინურ ენაზე მიმდინარეობდა, რაც სერიოზული  და ხშირად, დაუძლეველი წინააღმდეგობა იყო. სრულიად განსხვავებული რეალობა  არსებობდა ჩვენში, რამდენადაც სწავლება ხდებოდა ქართულ ენაზე. სწორედ მშობლიურ ენაზე სწავლების ფაქტორს უნდა უკავშირდებოდეს ისიც, რომ სწავლის პროცესში გამორიცხული იყო ფიზიკური დასჯა.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ მონასტერთა სამოხელეო აპარატის სტრუქტურაში გამიჯნულ სამეურნეო ფუნქციებში შეიმჩნევა საგანმანათლებლო ასპექტებიც. მონასტერთა ტიპიკონებში გათვალისწინებულია მოძღვარ-მასწავლებლისათვის განსხვავებული პირობების შექმნა. გონებრივ და სულიერ ასაკთან ერთად განიხილებოდა „სიბრძნითი ჰასაკის“ ასპექტი. არსებობდა „გონებით მოხუცებული“ ახალგაზრდის შემფასებელი ცნება – „მოხუცებულობა გონებისაჲ,“ ანუ გონებითი სიბრძნე, სიმწიფე და განსწავლულობა, რაც მონასტრის ძმობას ასეთად მიჩნეული მონაზონის წინამძღვარად არჩევის საშუალებას უქმნიდა.

სამღვდელმთავრო შესამოსელის ერთი კონკრეტული დეტალის ეტიმოლოგიის კვლევამ ცხადყო, რომ თავდაპირველად, ტერმინთა უმეტესობა ქართულ ენაზე იქმნებოდა. გარკვეული რაოდენობა კი უცვლელად გადმოდიოდა ბერძნულიდან. სავარაუდოდ, ტერმინების შერჩევა, ნაწილობრივ, კონკრეტულ პირთა გემოვნებასა და განათლებაზეც იყო დამოკიდებული. ჩვენი მოკვლევით, უძველესი წყარო, რომელშიც სამღვდელო სამოსის ძველი ქართული სახელწოდებებია ჩამოთვლილი, XI საუკუნით თარიღდება. შემდგომი, ახლა უკვე ქართულ–ბერძნული ტერმინების ერთ–ერთი პირველი შერეული ჩამონათვალი უნდა იყოს 1634 წლის ტფილისის სიგელის სამღვდელო სამოსლის აღწერა, სადაც ჩანს, რომ დროთა განმავლობაში მოხდა ქართული ლექსიკონიდან მათი განდევნა და  ბერძნული დასახელებებით ჩანაცვლება. თანამედროვე ბერძნული ტერმინებიდან ერთ-ერთის, - „ენქერის“ შესატყვის ქართულ ფორმად განვიხილავთ - „ფარაგს,“ რომელიც დღეს ცნობილია მხოლოდ უცხოური სახელითა და სტილიზებული ფორმით. ვვარაუდობთ, რომ სამღვდელმთავრო სამოსის ამ დეტალს, ოდესღაც პრაქტიკული ფუნქცია ჰქონდა. შემდგომში მან დაიტოვა სიმბოლური სემანტიკა და სულიერი მახვილის გამომხატველად იქცა. მიგვაჩნია, რომ „ფარაგი“ (წმიდა გიორგი ათონელის „ცხოვრება“) თავდაპირველად გამოიყენებოდა იმისათვის, რომ მოძღვარს განუშორებლად თან ჰქონოდა სახარება, სხვაგვარად, „სათანაო“ სახარება.

სამონასტრო სკოლებში სხვა ხელოსნურ საქმეთა სწავლების მრავალფეროვნებაში ნიშვნელოვანი იყო მაღალი გემოვნებისა და საქმის მცოდნე ოსტატების მომზადება ხელნაწერი წიგნების შესაქმნელად. ჩვენში არსებული სამონასტრო წიგნსაცავების წიგნადი ფონდის მოცულობა განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ევროპულ სივრცეში.

წყაროები მოწმობენ, რომ საქართველოში სამხედრო მომზადება მეტნაკლებად  შეეხებოდა მთელ მოსახლეობას. ქართული საბრძოლო ხელოვნებაში არსებულ საბრძოლო სისტემათა ჯგუფში ერთ-ერთი სახეობა იყო ,,ბერ–მონაზვნური“ ანუ ,,წმინდა მხედრების“ საბრძოლო სისტემა.

XI - XII საუკუნეების საქართველოში სამონასტრო ცხოვრების შინაარსსა და მისი მასშტაბების შეფასებისას მყარ არგუმენტად გამოდგებოდა ის ფაქტი, რომ თვით მონღოლთა ორასწლიანი ბატონობის პირობებშიც კი, შენარჩუნებული იყო საეკლესიო განათლების ტრადიციები. ხდებოდა, აგრეთვე, სხვადასხვა დარგის თეორიული ცოდნისა და არსებული პრაქტიკული გამოცდილების ორგანიზებულად და სისტემურად გადაცემა.

# თავი II. ქართული სამონასტრო უმაღლესი სკოლები და ევროპული უნივერსიტეტები XI-XII საუკუნეებში

## § 1. „გენათი“- პირველი ქართული საეკლესიო უმაღლესი სკოლის იდეური საფუძვლები

ქრისტიანული რწმენისა და ანტიკური ცოდნის ანუ ორი უმნიშვნელოვანესი კონცეპტის - „იერუსალიმისა და ათენის“ - რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების თემამ, სხვადასხვა დროს, არაერთი თეზის სახით იჩინა თავი. მეცნიერებისა და ეკლესიის თანაარსებობის საკითხი აქტუალურია თანამედროვეობისთვისაც. „ორმაგი ჭეშმარიტების თეორიად“ ქცეულმა რწმენისა და ცოდნის, ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და კლასიკური ფილოსოფიის აუცილებელი კავშირის იდეამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა შუა საუკუნეების ქრისტიანული საგანმანათლებლო სისტემა, რაც სათანადოდ აისახა ქართულ სააზროვნო სივრცეშიც.

„ღვთის მონობიდან“ „ღვთის მეგობრობის“ - განათლებული მორწმუნეობის გზაზე ქრისტიანული დოგმატიზმისა და ანტიკური რაციონალიზმის შერიგების განსაკუთრებულ მოვლენად იქცა გელათი – თეოლოგიის წიაღში „ნათელღებული,“ განათლებული მეცნიერების ადგილი, სადაც წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ წმიდა ილია მართლის მიერ თქმული სიტყვებით რომ ვთქვათ, „მეცნიერებას ასარწმუნოებდნენ და სარწმუნოებას ამეცნიერებდნენ.“

გელათის, როგორც განსაკუთრებული მონასტრისა და „სწავლულების“ ცენტრის შესახებ პარადიგმულ ფორმულად იქცა მის მიმართ ჩამოყალიბებული კონცეპტი: "მეორე იერუსალემი“ და „სხუა ათინა,“ კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაში მოყვანილი განმარტება: წინა-მდებარე არს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“). მაგრამ არსებობს ორი სხვადასხვა, - მარიამ დედოფლისეული და ანა დედოფლისეული წყარო – ტექსტის დასასრულის სხვადასხვა ვარიანტით: "...საღმრთოთა შინა **წესად და კანონად** ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“ (მარიამისეული) და "...საღმრთოთა შინა **წესთა, დიაკონად** ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად“ (ანასეული).

ტექსტის სემანტიკური და ფუნქციური შინაარსიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ანა დედოფლისეული ვარიანტი (XV Q-9751), – „მოძღვრისა“ და „დიაკონის“ შეთანწყობით, ლოგიკურად გამოხატავს სათქმელის დედააზრს და ქმნის ნათლად ჩამოყალიბებულ სიმბოლურ სახისმეტყველებას. კონცეპტუალური იდეის ამგვარი ორიგინალური, ორერთოვანი ბუნების გადმოცემით, ერთი მხრივ, გამოხატულია მონასტრის სასწავლო ცენტრის **მსოფლმხედველობრივი (იერუსალიმი–ათენი)** და მეორე მხრივ, **საღვთისმეტყველო (მოძღვარი–დიაკონი)** კონცეფცია.

გელათის მონასტრის საგანმანათლებლო მისიის უპირველესი მტკიცებულებაა სასწავლებლის შესასვლელში გამოსახული სიმბოლო, რომელიც მიჩნეული იყო „აკადემიის კარიბჭის მორთულობის დეტალად.“ უკანასკნელ დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს არის გენათის ემბლემა. თანამედროვე თვალთახედვით, ეს არის უმაღლესი სკოლის მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური იდეის განსხეულებული სიმბოლო, რომელიც, ვფიქრობთ, გადაუჭარბებლად შეიძლება მივიჩნიოთ საუნივერსიტეტო ემბლემად. იგი სრულიად ორიგინალური მოვლენა არა მხოლოდ ქართულ, არამედ, იმჟამინდელი ევროპის სინამდვილეში და ადასტურებს გენათის უმაღლესი სკოლის მრავალპროფილიან, ინტერკულტურულ, საერო, საყოველთაო და საერთაშორისო ხასიათს.

არქიტექტურული და კონცეპტუალური თვალსაზრისით ორიგინალური გენათის ბარელიეფი შედგება გადაშლილი წიგნის, მზის (ბორჯღალის მოდიფიცირებული ვარიანტი) და იოტას - მარადიული ერთიანობისა და ჭვრეტის იდეათა იდეოგრამული ნიშნებისაგან. ამასთან, იგი მითოლოგიურ და ქრისტოლოგიურ მსოფლხედვათა განსაზღვრულ მინიშნებებსაც შეიცავს.

ჩვენი აზრით, გენათის ემბლემის შუაგულში ამოტვიფტული ცხრა სხივი, ცხრა ფურცელი ამავდროულად უნდა იყოს „ცხრა თვალიც,“ რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ცხრათვალა მზის

უძველეს პირველსახესთან. რიცხვი ცხრა, იმჟამინდელი რელიგიისა და ყველა ხალხის რწმენით დასრულებული მთლიანობის, იდეის სრულყოფილების, ჰარმონიისა და ბედნიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ცხრიანის ესქატოლოგიური სემანტიკის მაჩვენებელი გენათის ემბლემის შუაგული გვთავაზობს რიცხობრივ–სიმბოლური თემის ინფორმაციულ გააზრებას. ემბლემის ამ ნაწილისა და „ფესტოსის დისკოს“ ცენტრალურ ნაწილს შორის შეინიშნება გარკვეული შინაარსობრივი და  გამომსახველობითი მსგავსება, შეიძლება ითქვას, კანონზომიერებასაც კი, რაც ბადებს არაერთ კითხვას და სვამს მათ შორის კავშირის საკითხის გაღრმავებული კვლევის ამოცანას.

გენათის სასწავლებლის ემბლემა განამტკიცებს არსებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, აქ მიმდინარე სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა შეესაბამებოდა ეპოქისათვის ნიშანდობლივ პროგრესულ სტანდარტებს.

გენათმა საბოლოოდ განამტკიცა მოძღვარი-მასწავლებლისა და სკოლა–„ღვთის სახლის“ სახელები და ცნებები, რითიც დასაბამი დაუდო ქართულ ლექსიკაში ისეთი ახალი სემანტიკური კომპოზიტის ჩამოყალიბებას, როგორიცაა „ცოდნის ტაძარი.“

საკვლევი პერიოდის მნიშვნელოვან მახასიათებლად მიგვაჩნია იმჟამინდელი კიდევ ერთი დიდი ქართული სასწავლო ცენტრის პეტრიწონის მონასტრის ემბლემის გამოსახულება, რომელიც, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ წინ უსწრებს გენათის ანალოგიურ სიმბოლოს.

ჩვენი დაკვირვებით, პეტრიწონის სასწავლებლის დედაემბლემა თანადროული ეპოქის უპრეცედენტო შემთხვევა და პირველი დარგობრივი, საგანმანათლებლო ჰერალდიკური ნიშანია შუა საუკუნეების ქრისტიანული სასწავლებლების შენობათა არქიტექტურაში. მისი სახით, სათავე დაედო განათლებასთან ასოცირებულ ისეთი სიმბოლოების დამკვიდრებას, როგორიცაა წიგნი და მზე, რომლებიც შემდგომში ყველაზე გავრცელებულ თემებად იქცა განათლებისა და მეცნიერების სფეროთა ჰერალდიკაში. ხსენებული ქართული მონასტრების სასწავლებელთა სიმბოლოები, როგორც შუა საუკუნეების ევროპის საგანმანათლებლო სივრცის ინოვაციური მოვლენა, თავიანთი ფორმითა და კონცეფციით, თანადროული ეპოქის უპრეცედენტო შემთხვევაა.

ამ ეპოქალური მნიშვნელობის ნივთიერი წყაროების – ემბლემების შემოქმედთა მიერ, რეალობის კონკრეტული ელემენტების გათვალისწინებით, გადმოცემულია ხსენებულ მონასტრებში არსებული უმაღლესი სკოლების სულისკვეთება – საღვთო ცოდნით განათლებული მეცნიერების იდეა. რომ არ ყოფილიყო არცერთი სხვა სახის დოკუმენტი და მინიშნებაც კი, პეტრიწონისა და გენათის უმაღლესი სკოლების შესახებ, ვფიქრობთ, მათი არსებობისა და მტკიცე თეორიული და პრაქტიკული ერთობის მტკიცებულებად სრულიად იკმარებდა დასახელებული ემბლემები - ქვაში ამეტყველებული უტყუარი ნიშნები. მათი სახით, სავარაუდოდ, საქმე გვაქვს საგანმანათლებლო სფეროს საეტაპო მნიშვნელობის ინოვაციასთან, რომლის მნიშვნელობა სცილდება ჩვენი ქვეყნის მასშტაბებს.

საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიჟრაჟზე, ხსენებული მოვლენა, ხუროთმოძღვრული ხელოვნებისა და  მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, სიახლე იყო იმჟამინდელი ევროპული კულტურისთვისაც, სადაც ამ პერიოდისათვის დაარსებულ სამონასტრო უმაღლეს სკოლებს მსგავსი ნიშანი, მით უფრო, სასწავლებლის შენობაზე გამოსახული, არ გააჩნდათ.

შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ორივე მონასტრის საგანმანათლებლო ცენტრის ემბლემებს, - სასწავლებლისათვის შესაფერის სამშვენისებს, როგორც უმაღლესი სკოლისათვის დამახასიათებელი იურიდიული გაფორმებისათვის სავალდებულო და საიდენტიფიკაციო ატრიბუტებს, კონცეპტუალურ და ესთეტიკურ-კულტურულ ღირებულებასთან ერთად, ჰქონოდა შესაბამისი საკუთრებითი ასპექტებიც. სავარაუდოა, რომ ისინი გაფორმებული იქნებოდა სავალდებულო სამართლებრივი ურთიერთობის ნორმების ისეთი ჰერალდიკური სიმბოლოების სახითაც, როგორიცაა გერბი და ბეჭედი.

ამასთან საფიქრებელია, რომ პეტრიწონისა და გენათის უმაღლესი სკოლების ემბლემა მისი ავტორების შორსმჭვრეტელური სახელმწიფოებრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკის ნიშანიცაა. ქტიტორთა მიზანი, - ეჩვენებინათ ცოდნის საყოველთაო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა. მათ კარგად იციან, რომ ნებისმიერი ეროვნების პიროვნება არის რელიგიური ადამიანი და არსებობს პარადიგმული მოდელები,  კოსმოსური კატეგორიები და მათთან დაკავშირებული კულტები (მზე,

მთვარე, მსოფლიო ხე და ა.შ.), რომლებიც საყოველთაოდაა მიღებული. კომპოზიციის იდეური შერწყმით, ემბლემათა კონცეფციაში გადმოცემულია ყველა სარწმუნოების ადამიანისათვის გასაგები და მისაღები, საერთაშორისო და ზოგადსაკაცობრიო სიმბოლოებით. კონკრეტულად, გენათის შემთხვევაში, არ გამოვრიცხავთ, რომ ეკლესიისაგან დამოუკიდებლად მდგარი სასწავლებლის შენობა იყო სწორედ, იმ საერთაშორისო სამეცნიერო და რელიგიათშორისი შეხვედრებისა და დისკუსიების ადგილიც, რომელთა შესახებაც გვამცნობს დავითის ისტორიკოსი. ამ თვალსაზრისით, მისი კარიბჭის თაღზე გამოსახული ემბლემა წიგნისა და მზის (ბორჯღალის მითოლოგიურ–ქრისტიანული მოდიფიცირებული ვარიანტით) სიმბოლოებით, ერთნაირად გასაგები და მისაღები უნდა ყოფილიყო აქ მოსული სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანისათვის.

გენათის სიმბოლო გამოხატავს საქართველოს ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს ინტერკულტურული ნიშნით აღბეჭდილ ისეთ მსოფლმხედველობრივ პრიორიტეტებს, როგორიცაა ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში გააზრებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რჯულშემწყნარებლობა, საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა საყოველთაოობის და საერთაშორისოობის ნიშნები. ვფიქრობთ, ემბლემის სულიერი შინაარსი მნემონიკური ხასიათისაცაა (მნემონიკა–ხსოვნის ხელოვნება) და ზედმიწევნით მიესადაგება მემატიანის მიერ სიტყვიერად გადმოცემულ „იერუსალიმ-ათენის“ ჩანაფიქრს.

გენათისა და პეტრიწონის მონასტრების საგანმანათლებლო ნიშანთა ამ გამოსახულებებს, როგორც უნიკალურ მოვლენასა და საქართველოს ისტორიის საუკეთესო პერიოდის კულტურის მოამბეებს ჩვენ **მონასტერთა ქვითმეტყველება** ვუწოდეთ. მიგვაჩნია, რომ მათი წარმომავლობის უშორესი ფესვები დაკავშირებული უნდა იყოს ისევ ქართველთა სამონასტრო საგანმანათლებლო წარსულთან. კერძოდ, ათონელ ბერთა მისტიკური აზროვნების სიმბოლურ გამოხატულებასთან, რომელიც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ემბლემათა მხატვრული მოდელების ხსენებული ფორმების საფუძველი საძიებელია ივირონის ტრადიციებში.

პეტრიწონის მონასტრის ემბლემის სადღეისო მდგომარეობა უცნობია. იმედი გვაქვს, შემდგომი კვლევა, რომელიც პეტრიწონის (დღევანდელი ბაჩკოვოს) მონასტრის დეტალურ დათვალიერება–შესწავლასაც გულისხმობს, ნათელს მოჰფენს მისი სადღეისო მდგომარეობის საკითხს. და ორი ქვეყნის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც ამავდროულად, ვფიქრობთ, საერთო ევროპული კულტურის მონაპოვრიც უნდა იყოს როგორც ხუროთმოძღვრული ხელოვნების, ასევე მეცნიერული და საგანმანათლებლო აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ პეტრიწონისა და გენათის სიმბოლოთა არსებობა დღის წესრიგში აყენებს ნაციონალური ჰერალდიკის ისტორიის სპეციალისტთა მხრივ აღნიშნული საკითხის სათანადო შესწავლის, ობიექტური სამეცნიერო დასკვნების გაკეთების, ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისა და შესატყვისი ადგილის მიკუთვნებულობის საკითხს.

## § 2. გელათის მონასტრის სახელდების საკითხისათვის

„გელათის“ სახელდების შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი გამოკვეთილი ვერსია, რომელთაც, პირობითად, შეიძლება ვუწოდოთ „ბერძნული“ (ბერძნულფუძიანი) და „იერუსალიმური“ (ებრაულფუძიანი) ვერსიები.

პირველი ვერსიის მიხედვით, იერუსალიმში აგებული ღვთისმშობლის შობის ტაძრის მსგავსად, დავითის მიერ აგებული ტაძარიც „ამ ტრადიციის გაგრძელებად“ ითვლებოდა (გელათი, გენათი-ბერძნ. „გენეტო“).

გელათის „იერუსალიმური“ წარმომავლობის ვერსია ეკუთვნის პროფ. ნ. მახარაძეს, რომლის ლოგიკურად და სტრუქტურულ-სემანტიკურად დასაბუთებული მოსაზრება ემყარება „კარის“ სახისმეტყველების მითოსურ-ქრისტიანული გენეზისისა და „კარიბჭის“ საკრალურობის თემის ინტერპრეტაციას. ამ მოსაზრებით, გელათის სახელწოდება დაკავშირებულია იოსებ ფლავიუსის (I ს.) თხზულებასთან „იუდეველთა ომების შესახებ,“ სადაც მოთხრობილია, რომ სოლომონის მიერ აგებული იერუსალიმის ერთ-ერთ კარიბჭეს (დასავლეთის მხარე) ებრაულად ეწოდება „შარ ლი გან

ედენ" ანუ „კარიბჭე ედემის ბაღში," - ავტორის აზრით, „გაენათი" (გენათი) და ნიშნავს „ბაღის კარს" („ბაღი" - ძველქართულად, „სამოთხე").

გელათის სახელწოდების წარმომავლობის ბერძნული ვერსია განეკუთვნება იმ პერიოდს, როდესაც ჩვენს ენაში არსებულ გარკვეულ კულტურულ ცნებათა ახსნა უკავშირდებოდა ბერძნულ-ბიზანტიურ ან სპარსულ-არაბულ წარმომავლობას, რაც დღევანდელი თვალთახედვით კრიტიკულად ფასდება. ამ მცდარი ვერსიის წარმოშობამ განაპირობა შემდგომი უზუსტობება. კერძოდ: დროთა განმავლობაში, ტაძარი ჩაითვალა ღვთისმშობლის შობის სახელზე აგებულად და დღემდე ასეა მიჩნეული.

ვფიქრობთ, ამგვარი დასკვნის ოპონირებისას, უპირველესი მტკიცებულებაა გელათის პირველ მკვლევართა ბ. ლომინაძისა და ი. ციციშვილის დასკვნა, რომელის მიხედვითაც, მთავარი ეკლესია ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა; მეორე, გელათის ტაძრის ხატწერის ერთ-ერთი ცენტრალური ფრესკა, რომელიც XVI საუკუნეშია შესრულებული და „ღვთისმშობლის მიძინებას" ასახავს. ეს კი საეკლესიო ხატწერის კანონიკის შესაბამისად, ტაძრის სახელწოდების პირდაპირ მინიშნებად ითვლება. მით უფრო, რომ ასეთივე ზომებში ღვთისმშობლის შობის ფრესკა აქ არა გვაქვს; მესამე, გაენათი საკათედრო ტაძარია. როგორც წესი, მართლმადიდებლურ სამყაროში, საკათედრო ტაძრები ღვთისმშობელის მიძინების სახელობისაა, „სიონი" კი მათი სინონიმია; მეოთხე: ჩვენი ვარაუდით, გენათისა და პეტრიწონის მონასტერთა შორის არსებულ მსგავსებათა, რიგში თვალნათლივ ჩანს ტაძართა შემადგენლობის ანალოგიურობის პრინციპიც. ორივე მონასტრის შემადგენლობაშია: ღვთისმშობლის მიძინების, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის და მთავარანგელოზის სახელობის ტაძრები.

კვლევის ამ ნაწილში, გელათის სახელდების ირგვლივ არსებული ისტორიული, ფოლკლორული და ქრისტოლოგიური ხასიათის ვერსიების განხილვის ფონზე, ჩვენს მიერ წამოყენებულია გენათის სახელწოდების ქართულფუძიანი ვერსია, რომლის მიხედვით, სახელად შერჩეულია კონცეფციურ-სიმბოლური ტერმინი - „გენათი" ანუ მეგრულად – „განათდი." „გენათი," „გაენათი," „გენაათი" („განათდი," „გათენება," „განათება"). - ერთი და იგივე პროტო-ქართული წარმოშობის სიტყვებია და დღესაც აქტიური ლექსიკური ერთეულია სამეგრელოში. ამგვარ სახელწოდებას ჩვენ მივიჩნევთ დასაბამიერი ქმნადობის - „სრული შესაქმის" იდეის („იქმენინ ნათელი") თავისებურ ინტერპრეტაციად. ვფიქრობთ, რომ ნომინაციის საფუძვლად იქცა სახელმდებლის (სახელმდებელთა) შინაგანი მდგომარეობა, როდესაც მოხდა აზროვნების ცნებითი ფორმის შეფარდება როგორც იდეასთან, ასევე, ობიექტურ რეალობასთან. ეს არის კულტურულ-შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი აზროვნების აქტი, - მზაობა კონკრეტული ქცევის შესასრულებლად, როდესაც სახელის შერქმევისას, შინაგანი ფორმა აისახება ლექსიკურ ერთეულზე, ანუ ხდება კონკრეტული იდეის სიტყვიერი გამოხატვა.

სახელწოდება „გენათი" შერჩეულია ქრისტოლოგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით და გონების განათების, ახალი გონების შობის ადგილადაა მიჩნეული. გელათის სახელდების ჩვენეული ვერსია თანხმობაშია ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი თვითმყოფადობის გამოვლინების ტენდენციებთან, რაც ნიშანდობლივი იყო იმ ეპოქისათვის.

შინაარსობრივი და ფუნქციური სპეციფიკის სახელწოდება „გენათმა" ქართველის ცნობიერებაში აქამდე არსებულ სატაძრო-საგანმანათლებლო საქმესთან დაკავშირებული ცნებებისა და ტერმინების (სწავლული, რჯულის მეცნიერი, მერჩულე, მწიგნობარი და ა. შ.) გვერდით დაამკვიდრა სიტყვები: „განათლება" და „განათლებული," როგორც „გონებითი ცისკრის," ცოდნისმიერი სინათლის, გონების გამანათლებლის საკითხისადმი ჩვენი ამგვარი მიდგომა განსხვავდება იმ მოსაზრებისაგან, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის აღმნიშვნელი ტერმინი „განათლება" რუსულიდან შემოსული სიტყვაა.

ღირსი მამა იოანე შავთელის მიერ ხატოვნად გამოთქმული სახელწოდება „გელათი" მიჩნეულია ალტერაციულ-მონაცვლეობითი მეთოდით მიღწეულ პოეტური სიტყვათქმნადობისა და სიტყვათა ანაგრამული ასოთხმოვანების შემთხვევად, მონასტრის „ნათლობის" სახელის ერთგვარი მოდულაციად.

კვლევის ამ ნაწილში შემოთავაზებულია, აგრეთვე, გენათის, როგორც „ახალი რომის“ იდეის ჩვენეული ხედვა. განხილულია წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის (თაყაიშვილის) ემიგრანტობის დროინდელ წერილში ნახსენები „პეტრიწონის მოდელის“ საკითხი. გენათისა და პეტრიწონის მონასტრების კონკრეტულ მსგავსებათა და საერთო ნიშნების მიმოხილვის ფონზე, შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ გენათის აკადემია წარმოადგენდა არა „მანგანას აკადემიის ასლს,“ არამედ პეტრიწონის მონასტრის საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით შექმნილ, მის მემკვიდრე, კონცეპტუალურად და თვისებრივად განვითარებულ მოვლენას.

ხსენებულ სასწავლებელთა მემკვიდრეობითობისა და ერთობის უტყუარ მტკიცებულებად მივიჩნიეთ მეწიეთის „მარხვანის“ ტექსტი, რომელმაც ერთმანეთთან მჭიდროდ დაგვაკავშირებინა პეტრიწონისა და გენათის ქტიტორთა სახელები.

პარაგრაფის ბოლოს, პეტრიწონისა და გენათის მონასტერთა ანალოგიები განხილულია იმ მემკვიდრეობის გაგრძელებად, რომელიც სათავეს იღებს ათონის და აგრეთვე, წინარე პერიოდში ქართველ მოსაგრეთა მიერ საზღვარგარეთ გაშლილი საგანმანათლებლო საქმიანობიდან და ქმნის ერთ მთლიან უწყვეტ ხაზს: სირიის საკვირველი მთის მონასტერი-ათონის ივირონი-პეტრიწონის სავანე-გენათის მონასტერი.

## § 3. ახალი ქართული უმაღლესი სკოლის სათავეებთან

კვლევის ამ ნაწილის დასაწყისში განსახილველად შემოტანილია პეტრიწის სამოღვაწეო პერიოდის დამამტკიცებელი ჩვენეული არგუმენტები, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს უკანასკნელ ხანს ჩამოყალიბებული პეტრიწის სამოღვაწეო პერიოდის ახალი ვერსიას (XII-XIII საუკუნე). ამ უკანასკნელის მიხედვით, წმიდა მეფე დავითი და ღირსი იოანე პეტრიწი სხვადასხვა ქრონოლოგიურ დროში მოღვაწეობდნენ.

ჩვენი თვალსაზრისი შესამაბისობაშია ტრადიციულ შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც, ისტორიულ-ლიტერატურული და თარგმანთა ტექსტების ენობრივი ანალიზის საფუძველზე იოანე პეტრიწი მიჩნეულია წმიდა არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირეს, თეოფილაქტე ბულგარელის, გრიგოლ ბაკურიანის, მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის უმცროს თანამედროვედ. XX საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ მიდგომები შეიცვალა და დამკვიდრდა იოანე ფილოსოფოსის, იოანე ჭიმჭიმელის (ტოპონიმური), იოანე ტარიჭისძისა (პატრონიმული) და იოანე პეტრიწის (ზეწოდება) არაიდენტურობის საკითხის განხილვის ტენდენცია. ჩვენს მიერ გაზიარებულია პროფ. თ. ცქიტიშვილის კვლევაში ჩამოყალიბებული ძველი ტრადიცია, რომელის მიხედვითაც წყაროთა შეჯერებით, პეტრიწის ნაშრომთა მსოფლმხედველობრივი, ლიტერატურული, ტექსტობრივ-ენობრივი მონაცემების დამოწმებით ასაბუთებს, რომ ეს არის ერთი და იგივე პიროვნება, რომელიც კლერიკალური წრეებისაგან დევნის გამო იძულებული იყო სხვადასხვა ფსევდონიმით ესარგებლა.

დამკვიდრებული მოსაზრებით, ბერ იოანეს პეტრიწი ეწოდა იმიტომ, რომ იგი მოღვაწეობდა პეტრიწონის მონასტერში, ხოლო ქართველთა მონასტერმა სახელწოდება პეტრიწონი (ძველად - „პერტიჩო“) ბულგარეთში, როდოპის მთებში მდებარე ამავე სახელწოდების სოფლის მიხედვით მიიღო. ჩვენი ვერსიით, მოხდა პირიქით. ნაშრომში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე ვვარაუდობთ, რომ პეტრიწონის მონასტერმა სახელწოდება მიიღო აქ იოანე პეტრიწის მოღვაწეობის გამო. მეტიც, არ გამოვრიცხავთ, რომ თავად, სოფლის სახელწოდება „ბაჩკოვო“ „პეტრიწონით“ შეიცვალა სწორედ მონასტრის აგებისას. ამ ჰიპოთეზის მტკიცებულებად მივიჩნიეთ: ა) საკითხის კვლევისას აღმოჩენილი ბულგარული ისტორია და ბ) თავად ტიპიკონის ტექსტი.

ბულგარეთის ის მხარე, კერძოდ, როდოპის მთიანი მასივი, სადაც პეტრიწონის მონასტერი მდებარეობს, ერთ-ერთი მდიდარი ისტორიული მხარეა მთელს ამ რეგიონში. გასული საუკუნის 30-იანი წლებში აქ აღმოჩენილი და მეცნიერთა გარკვეული წრეებისათვის გამოცანად ქცეული „როდოპის საიდუმლო წარწერის“ თემით დაინტერესებამ მიგვაახლოვა პეტრიწონის მონასტრის ირგვლივ აქამდე არსებული და ჩვენს მიერ დასმული შეკითხვების შესაძლო პასუხებთან.

ბულგარული და ქართული ისტორიული წყაროების შეჯერება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდაოთ, რომ:

- იოანე პეტრიწმა ამოიკითხა, სწორედ როდოპის მთებში არსებული კლდოვანი ციხის უძველესი წარწერა, რის გამოც: მას უწოდეს პეტრიწი „ქვის მფხეკელი.“ ქვაზე (კლდეზე) ფხეკა დამწერლობის უძველესი სახეა. ამ შემთხვევაში ჩვენ ვამჯობინებთ სხვა, ასევე ძველ ტერმინს – „მჩხრეკელი,“ რომელიც საღვთისმეტყველო–ფილოსოფიური ტექსტების მკვლევართა საქმიანობის აღმნიშვნელ სახელწოდებად გამოიყენებოდა ხოლმე და მეტად უნდა შეესაბამებოდეს იმ საქმიანობის შინაარსს, რასაც უძველესი ნაწერების, ამ შემთხვევაში, კლდეზე წარწერილის წაკითხვა წარმოადგენს.
- პეტრიწონის ქართველთა სავანე დაარსდა მას შემდეგ, რაც ღირსმა იოანემ ამოიკითხა როდოპის მთებში არსებული კლდის წარწერა;
- გრიგოლ ბაკურიანის ძემ მონასტერი ააგო იმ ადგილთან ახლოს, სადაც მდებარეობდა ზემოთ ხსენებული ციხე - პეტრიწის მიერ ამოიკითხული და განმარტებული „ძველთა ფილოსოფოსთაგან თქმულნი ჰაზრებით;“
- მონასტრის ქტიტორებმა უძველეს ბულგარულ ტოპონიმიან ადგილს (ბაჩკოვო) ბერძნული (არაქართული) სახელი შეარქვა იმიტომ, რომ ეს სახელწოდება ქართველი სწავლულის, - იოანე პეტრიწისათვის მინიჭებული სახელი იყო.
- ექვსი საუკუნის შემდეგ, პეტრიწონის მონასტერში ბერძენთა შესვლისთანავე სახელის გადარქმევის ფაქტი იყო მათი მხრიდან აქ ქართველთა კვალის წაშლისათვის გამიზნული ქმედება, რაც, თავის მხრივ, ამართლებს ჩვენს ვარაუდს მონასტრის სახელწოდების ქართულ წარმომავლობასთან დაკავშირებით.
- როდოპის საიდუმლო წარწერიანი კლდის არსებობისა და პეტრიწონის სავანესთან მისი სიახლოვის ფაქტები, რეალურად, ასაბუთებენ დღემდე საეჭვოდ მიჩნეულ იოანე ბატონიშვილისეულ ცნობას იოანე პეტრიწის სახელდების შესახებ, რის შემდეგაც, საფიქრებელია, რომ იოანე ბატონიშვილის ცნობის უტყუარობა არც სხვა დეტალებში უნდა იწვევდეს ეჭვს. ამდენად, დასტურდება, რომ:
- დღევანდელ ბაჩკოვოს მონასტერთან მდებარე ისტორიული კლდე და მასში მდებარე ციხე– გამოქვაბული სწორედ ის „ციხეა,“ რომელზედაც საუბარია XVIII საუკუნის ხსენებულ ქართულ წყაროში;
- როდოპული წარწერის გაშიფვრის ფაქტს ჩვენ მივიჩნევთ უძველესი ქართული ცოდნის ექსპორტის კიდევ ერთ გამოვლინებად. ვვარაუდობთ, რომ ახალგაზრდა პეტრიწმა უცნაური ტექსტის წაკითხვა შეძლო განსხვავებული, საქართველოდან წაღებული ცოდნით, რომლის ფესვებიც უძველესი ქართული პიქტოგრამების არსებობაში უნდა ვეძიოთ.
- ღირსმა იოანე ჭიმჭიმელმა ამოიკითხა როდოპის მთებში კლდეზე გაკეთებული უნიკალური წარწერა, „უკეთეს განმარტნა თვისთა მოძღვართა ზედა და უკეთეს ნათლად აღმოაჩინნა,“ რის შემდეგაც, ქართველ სწავლულს ბერძენმა მოძღვრებმა უწოდეს პეტრიწი. დიდი მოაზროვნის სხვა მრავალ, ჩვენთვის ცნობილ ნიჭთან ერთად, უეჭველია, რომ საქმე გვაქვს მის კიდევ ერთ ღირსებასთან - იგი კრიპტოგრაფიული ხელოვნების დიდოსტატიც იყო.
- ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ ახლი მონასტრის აგება უკავშირდებოდეს ხსენებულ ისტორიას, რის შემდეგაც, მან როგორც იოანე პეტრიწის ნიჭიერების ხელშემწყობმა და ახალი ტიპის სასწავლებლის დაარსების მსურველმა, აქვე სამოღვაწეოდ მიიწვია უცხო ქვეყანაში უკვე პატივდებული, აღიარებული და– ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, რათა - „ღვთაებრივად“ (თეოფილაქტე ბულგარელი) მიჩნეულ, „დიდ ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსს“ შესაძლებლობა ჰქონოდა „მრავალნი კეთილნი სწავლანი დაეთესა ერთა შორის.“

ბიზანტიაში მისი აღიარების, ქართველოს სახელმწიფოს იმჟამინდელი მსოფლმხედველობრივი თვითმყოფადობის გამოვლინების ტენდენციების გათვალისწინებითა და ხსენებული ბულგარული და ქართული ისტორიული წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ პეტრიწის ზეწოდება ჭიმჭიმელი არის არა ტოპონიმური წარმომავლობისა, არამედ,

„პეტრიწის“ მსგავსად, მეტაფორული ზედსახელი, რომელიც, შესაძლებელია, მისთვის სამშობლოში ეწოდებინათ ბერძნული სახელის სანაცვლოდ. ძველქართულად ერთ-ერთი განმარტებით, „ჭიმჭიმელი“ ნიშნავს შუადღის მზის უკიდურეს სიმაღლეს, „ზენიტს.“

გენათურ სახელდებებში მეგრული ტოპონიმის არსებობა აღინიშნება წმიდა მეფე დავითის მიერ ახალი მონასტრის დაარსებამდეც. ახალი ლექსიკური ერთეულების შემატება კი, ვფიქრობთ, გარკვეულ კანონზომიერებაზე უნდა მიგვანიშნებდეს. ამ ტენდენციას ჩვენ, აგრეთვე, ვაკავშირებთ ღირსი იოანე ჭიმჭიმელის მეცნიერულ აზროვნებასთან. მიგვაჩნია, რომ მის შემოქმედებაში ასახული არქაული მოდელების გააქტიურების მიზანი უნდა იყოს ქართველურ ტომთა ენობრივი ნათესაობის ერთობისა და პროტო-ქართველური ენის მეგრულ განშტოებასთან სიმტკიცის შენარჩუნება.

ჩვენი განსხვავებული შეხედულების ჩამოყალიბებისათვის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილად და გენათის ახალი ქართული უმაღლესი სკოლის იდეური საფუძვლების მნიშვნელოვან მტკიცებულებად მოხმობილია გურიის სოფელ მეწიეთში აღმოჩენილი „მარხვანი.“ ხსენებულ წყაროს უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე აქ მოხსენიებულია მეფე დავით აღმაშენებელთან, დედოფალ თამართან და ღირს ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებთან ერთად. მსგავს ფაქტს, ჩვენი მოკვლევით, სხვაგან არსად ვხვდებით. საუკუნეთა შემდეგ, პატივისმიგების ამგვარი გამოხატულება უნდა მივიჩნიოთ ქართული სახელმწიფოსა და დედაეკლესიის წინაშე გრიგოლ ბაკურიანის ძის მრავალმხრივი საქმიანობის მაღალ შეფასებად, მის მიმართ განსაკუთრებული პატივის მიგების ნიშნად, უპირველესყოვლისა კი საგანმანათლებლო სფეროში გაწეული ღვაწლის აღიარებად. მოსაზრება გამყარებულია, აგრეთვე, ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში შემონახული ცნობით, რომლის მიხედვით, ქართველი ბერები ყოველი იანვრის 15 რიცხვში „ყოვლითა გულსმოდგინებითა“ იხდიდნენ ღვაწლმოსილი ძმების გრიგოლ და აბას ბაკურიანის ძეთა პარაკლისს.

წყაროებისა და მოვლენათა შეჯერების საფუძველზე, გრიგოლ ბაკურიანის ძე წარმოჩენილია იმ იდეალად, რომლის ცხოვრება და ღვაწლი არაერთი თვალსაზრისით შთააგონებდა მეფე დავითს სიყმაწვილეშიც და თავისი ზეობისასაც. დროსა და სივრცეში დაცილებულ მოღვაწეთა ეს ერთსულოვნება განხილულია ოლამური დროის პრიზმაში.

გენათის ფენომენის შექმნას ჩვენ ვუკავშირებთ სამი დიდი მოღვაწის: გრიგოლ ბაკურიანის ძის, წმიდა დავითისა და ღირსი იოანე პეტრიწის სააზროვნო ერთობას, რაც გენათის სკოლის იდეურ–მსოფლმხედველობრივ საფუძვლად იქცა. მაღალი პიროვნული ღირსებების, რელიგიური მრწამსის და საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით, ეს იყო სამი დიდი თანამოაზრის სულიერი ერთობა. ერთი მხრივ, დიდი დომესტოსისა და პეტრიწის, ხოლო მეორე მხრივ, პეტრიწისა და აღმაშენებლის ტანდემებით. ისტორიული ეპოქის ქართული სახელმწიფოს საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმატება განაპირობა სულიერ ნათესაობაზე დამყარებულმა მათმა შემოქმედებითმა ღვაწლმა და ორგანიზატორულმა უნარმა. პოლიტიკურ და ეკლესიის ისტორიაში გამორჩეულმა ამ დიდმა სამეულმა თავისი პროგრესული აზროვნებით წინ გაუსწრო დროს და გაცილებით ადრე ჩაუყარა საფუძველი იმ პროცესებს, რომელსაც, მოგვიანებით, ევროპამ რენესანსი უწოდა.

## § 4. ქართული უმაღლესი სკოლები და ევროპული უნივერსიტეტები

პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, მკვლევართა მსჯელობები იყალთოს აკადემიის შესახებ, ძირითადად ემყარება ორ არგუმენტს: მონასტრის ტერიტორიაზე ნაგებობის არსებობისა და არსენ იყალთოელის აღნიშნულ მონასტერში მოღვაწეობის ფაქტებს, აგრეთვე, ამ საკითხზე არსებულ სხვადასხვა ცნობებსა და გადმოცემებს. გენათისა და იყალთოს უმაღლესი სკოლების არსებობის დამადასტურებელ ძირითად არგუმენტად სახელდება მონასტრების ტერიტორიაზე მდებარე საერო ტიპის ნაგებობების მსგავსება. გავრცელებული მოსაზრებით, იყალთოს აკადემიის დამაარსებლად მიჩნეულია არსენ იყალთოელი, თუმცა, წმიდა ზენონ იყათოელის მიერ დაარსებულ უძველეს სასწავლო ცენტრში უმაღლეს სკოლას ვარაუდობენ IX საუკუნეშიც. არსებობს მოსაზრებები აქაურ

ფართოპროფილიან სასწავლო პროცესებზე და ცნობები სკოლაში უცხოელთა სწავლებაზე, აგრეთვე, ვარაუდები თბილისის, გრემის და მარტვილის უმაღლესი სასწავლებლების შესახებ.

იმჟამინდელი ევროპის საგანმანათლებლო სივრცის მიმოხილვის ფონზე, განვითარებულია მსჯელობა, რომ „მანგანას ასლად“ გენათის მოხსენიებით რეალურად ვერ ავსახავთ წმიდა მეფე დავითის გაცხადებულ ჩანაფიქრს, რომლის რეალიზებამ ცხადყო, რომ მანგანას აკადემია არის მოვლენათა განვითარების შედეგი და არა მიზანი, გენათის აკადემია კი არის მიზანი, თანაც ორერთოვანი, – ,,მეორედ იერუსალემად“ და „სხუა ათინად“ განზრახული.

გენათის დაარსებისას, შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანობას ჯერ კიდევ კანონგარეშედ ჰქონდა გამოცხადებული ანტიკური სიბრძნე. ამ თვალსაზრისით, ევროპის მასშტაბით, გენათის უმაღლესი სკოლის პრინციპები არათუ წინ უსწრებდა მომავალში განვითარებულ შემრიგებლურ პროცესებს, არამედ ადასტურებს, რომ ჩვენში უძველესი ცოდნა, როგორც საკაცობრიო სიბრძნის მონაპოვარი, ადრიდანვე ობიექტურად თანაარსებობდა საეკლესიო ცოდნასთან. გენათის ახალი ტიპის სასწავლებელში კი ხდებოდა საერო–მეცნიერული და რელიგიურ–საეკლესიო ცოდნის სინთეზი, ანტიკური და ქრისტიანული სიბრძნის ჰარმონიზაცია.

ტერმინების: „უნივერსიტეტის“ და „აკადემიის“ შინაარსთა განხილვის ფონზე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა და ქრონოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბიზანტიის მანგანას აკადემიის შემდეგ, გენათის აკადემია ევროპული სამყაროს ყველაზე ადრეული სამეფო უმაღლესი სკოლაა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ თანადროულ უნივერსიტეტებთან მიმართებაში გენათს აქვს გამოკვეთილი საერთო და განმასხვავებელი, მათ შორის, წინმსწრები ნიშნებიც, რითიც იგი არათუ ტოლს არ უდებდა მის თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებს, არამედ აღემატებოდა კიდეც მათ ისეთი მახასიათებლებით, როგორებიცაა: მატერიალური ბაზა, სასწავლო ცენტრისათვის სპეციალურად აგებული შენობა, უმაღლესი სკოლისათვის ნიშანდობლივი სიმბოლო, თვითკმარი ეკონომიკა, ნეოპლატონური იდეების შემწყნარებლობა და სხვ.

შუა საუკუნეების ევროპაში ანტიკური აკადემიების ეპოქის დასასრულისა და ევროპული უნივერსიტეტების აღმოცენების გზაჯვარედინზე, გენათის სამეფო სასწავლებელი იყო ის უმაღლესი სკოლა, რომელშიც წმიდა მეფე დავითმა და ღირსმა მამა იოანე ჭიმჭიმელმა (პეტრიწმა), ფაქტობრივად, განჭვრიტეს მომავლის უნივერსიტეტი.

# თავი III. საეკლესიო განათლების ძირითადი მახასიათებლები

## § 1. ტერმინების: „განათლების“ და „სასულიერო განათლების“ შესახებ

ისტორიის ტელეოლოგიური ბუნება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, რომ იდეისა და მატერიის ურთიერთტრანსფორმირების პრინციპით, აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით „უწყინარი“ ტერმინები შეიცავენ განხორციელების შესაძლებლობებს და მატერიალიზდებიან როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ფორმითა და შინაარსით. ნაშრომის ამ ნაწილში, ასეთი თვალთახედვითაა განხილული საგანმანათლებლო სფეროსთან დაკავშირებული ტერმინები: „განათლება,“ „სასულიერო,“ „სასულიერო განათლება,“ „სპარსოფილი“ და „ელინოფილი.“ კვლევის პროცესში ჩამოგვიყალიბდა შეხედულება, რომ სასწავლო პროცესისა და შედეგის აღმნიშვნელი ტერმინი „განათლება,“ გარკვეული დროით, ჩვენ ისევე დავივიწყეთ, როგორც მისი დამნერგავი, - გენათის იდეური სახელწოდება. ტერმინ „განათლებას“ ქართული ცნობიერება, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ოდითგანვე „უტრიალებდა“ ირგვლივ („განმანათლე,“ „განმინათლე გონება,“ „აღმიხილე თუალნი გონებისანი“ და სხვ.). ბიბლიური შესაქმის მნიშვნელობის აღმნიშვნელმა ამ ცნებამ მალე

ქრისტიანული ცოდნის მიღების მნიშვნელობა შეიძინა. გარკვეულ პერიოდის შემდეგ კი წარმოგვიდგება, როგორც მხოლოდ ფუნქციური შინაარსის მქონე ტერმინი.

ჩვენი მოსაზრებით, ტერმინ „განათლებას," როგორც უშუალოდ, სასწავლო პროცესის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულს, აქვს თავისი ქართული წარმომავლობა, რაც თავის დროზე ცხადყვეს წმიდა მეფე დავითმა და ღირსმა იოანე ჭიმჭიმელმა. გენათის სახელდებისას (გენათ- „განათლდი") მათ სიტყვიერად განსაზღვრეს იდეა, რომელიც გადმოსცემდა ერთი მხრივ, სასწავლებლის მიმართ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონცეფციის, და მეორე მხრივ, სწავლების პროცესის, მნიშვნელობის და მიზნის ფუნქციონალურ ბუნებას. ვფიქრობთ, რომ ამ ეტიმოლოგიურ გზაზე, ჯერ სამეცნიერო, შემდეგ კი საზოგადო ლექსიკონში მისი აქტიური გამოყენების ფაზა ემთხვევა ჩვენში რუსიფიკატორული რეჟიმის დამკვიდრების ხანას. ამიტომაც, ხშირად, მის წარმომავლობას, უმართებულოდ უკავშირებენ რუსული ენიდან ნასესხობას.

ნეოლოგიზმი - „სასულიერო" ევროპაში XIX ს-ის 60-იანი წლებიდან ჩნდება და ასახავს დაპირისპირებას „სასულიეროსა" და „საეროს" სეკულარიზებულ სფეროებს შორის. ჩვენი მოკვლევით, ტერმინები „სულიერი წარმოება," „სულიერი ნაწარმი" (Духовное производство), პირველად გამოიყენა აკადემიკოსმა ანდრეი შტორხიმ, რომელიც შემდეგ მარქსისტული ფილოსოფიის გზით გავრცელდა მეცნიერების, ხელოვნებისა და რელიგიის სფეროებში, მათ შორის, ქართულ სამეცნიერო აზროვნებაში.

საქართველოში ამ ტერმინის შემოტანა და დამკვიდრება უკავშირდება რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და ჩვენში რუსული სასულიერო საგანმანათლებლო სისტემის დანერგვის პერიოდს. ჩვენს შემთხვევაში, ტერმინის – „სასულიერო განათლება" – შინაარსი სრულად ვერ მოიცავს სწავლების იმ მეცნიერულ სპექტრს, რომელიც, რეალურად არსებობდა შუა საუკუნეების უმაღლეს სასწავლებლებში. ტრადიციულად, ჩვენში გამოიყენებოდა ტერმინი – „საეკლესიო სკოლა." ამ ძველი ფორმის აღდგენის შემთხვევაში, ლოგიკურად გავაგრძელებთ საეკლესიო სფეროთა სახელწოდებების იმ რიგს, რომელთა შორისაა „საეკლესიო კრება," „საეკლესიო მიწები," „საეკლესიო სამართალი," აგრეთვე, „სატაძრო აღზრდა" და სხვა.

გასულ საუკუნეში ჩვენს სალიტერატურო სივრცეში ნეგატიურ კონტექსტში დამკვიდრებულ ტერმინს - „სპარსოფილია" - ამ ბოლო ხანს გახშირებული ტერმინი „ელინოფილია" შეემატა. ვემიჯნებით რა, საქართველოს კულტურის ისტორიაში ნებისმიერი თვალსაზრისით, ტერმინ „ფილიას" გამოყენებას, მიგვაჩნია, რომ რომელიმე კულტურის მოწინავე იდეებით დაინტერესება, მისი გაზიარებულობის ხარისხისა და დროითი ხანგრძლივობის მიუხედავად, ნიშნავს არა რომელიმე კულტურისადმი დაქვემდებარებულ „სიყვარულს" (φιλία, ძველბერძნ. - „სიყვარული"), არამედ, საკაცობრიო კულტურის გამზიარებლობას და თანაგანმცდელობას, თანაც იმ დოზითა და ზომიერების იმ განცდით, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს. ამ თემაზე მსჯელობა დავამყარეთ არსებულ ძველ შეფასებებზე, „სპარსოფილებად" და „ელინოფილებად" წოდებულთა, ვფიქრობთ, „ქართველოფილურ" შემოქმედებაში გაცხადებულ სიტყვათქმნადობით ღვაწლზე და იმ საფრთხეებზე, რასაც პოტენციურად შეიცავს ამგვარი ლექსიკური ნეოლოგიზმები.

რაც შეეხება, ელინოფილთა შორის „ელინოფილ ფილოსოფოსად და მთარგმნელად" სახელდებულ ღირს იოანე პეტრიწს, ჩვენივე ჰიპოთეზაზე დამყარებით, მას თავად იმდროინდელმა ქართველობამაც კი არ შეჰკადრა მხოლოდ ელინური ზეწოდება და უმალ, ქართული, - შუადღის მოელვარე მზის ორიგინალური სახელი - ჭიმჭიმელი შეარქვა. დედაეკლესიამ სახელოვანი მოაზროვნე ღირსი მამის წმინდა წოდებით განადიდა, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთი მოტივი უნდა იყოს წმინდანის მიმართ ხსენებული ბერძნული ტერმინის გამოყენების მიზანშეწონილობის დასადგენად.

აქვე განმარტებულია სასწავლო პროცესის კონკრეტული მონაკვეთის - „გაკვეთილისა" და წიგნის უძველესი სახელწოდების „მაგალითი კეთილის" აღმნიშვნელი ტერმინის წარმომავლობის ჩვენეული ვერსიები.

## § 2. ქართული სამონასტრო უმაღლესი სკოლის სტრუქტურა და სასწავლო პროცესის ორგანიზება

ნაშრომის ამ პარაგრაფში შევეცადეთ არსებული სამამულო კვლევებისა და ევროპული უმაღლესი სკოლების სასწავლო გათვალისწინებით, წარმოგვედგინა გენათის უმაღლესი სკოლის სტრუქტურისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების სავარაუდო სურათი.

სამონასტრო მოწყობის, სამეცნიერო, სასწავლო-საგანმანათლებლო და პრაქტიკიული მუშაობის, სწავლების სპეციფიკის, სასკოლო განათლების სისტემისა და სწავლო პროცესის ორგანიზების სტრუქტურულ–შინაარსობრივი საქმიანობის თვალსაზრისით, ცხადია, რომ გენათში გათვალისწინებული იქნებოდა ათონის „ივირონისა“ და პეტრიწონის აკადემიების გამოცდილება. ამ ეპოქაში ჩასახულმა ჰუმანისტურმა იდეებმა საერო პრინციპებზე დააფუძნეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს პედაგოგიური აზროვნება.

გენათის უმაღლესი სასწავლებელი მოიცავდა იმდროინდელი მეცნიერებისა და განათლების ყველა ძირითად სფეროს. სწავლება ხდებოდა ქართულ ენაზე. სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებული იყო ბერძნული, არაბული, სომხური და სხვა ენების სწავლება. მეცადინეობის ძირითადი სახეები იყო ლექციები და დისპუტები. გენათის სკოლამ შექმნა „სინკრეტული ცოდნა“ ღვთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ. აქაური სწავლება, თავისი მეტაფიზიკური („შემდგომად ბუნებათაᲐსა“) მასშტაბებით, ღირსი იოანეს სიტყვებითვე რომ ვთქვათ, არის „მოწმობა სამებისთვის.“

ღირსი იოანე პეტრიწის დიდაქტიკური დებულებები, მის მიერ წამოყენებული და დასაბუთებული მოწინავე იდეები დასავლეთ ევროპაში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ დამკვიდრდა პედაგოგიკის თეორიაში. გენათური სასწავლებლის საქმიანობის შინაარსის მეთოდოლოგიური საფუძვლები დღემდე არ კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას. მსოფლმხედველობრივ-საღვთისმეტყველო კონცეფციის მიხედვით, გენათის ლავრაში მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს ახალი ტიპის აზროვნებასთან, რომელიც არღვევს დოგმატურ–სქოლასტიკურ სააზროვნო სტანდარტებს და ამკვიდრებს ჩვენში ფილოსოფიური მწერლობისა და პლატონიზმ-არისტოტელიზმის სიმფონიის იმ ტრადიციას, რომელსაც ათონის ქართველთა მონასტერში საფუძველი ჩაუყარა წმიდა ექვთიმე ათონელმა.

აქვე წარმოდგინილია გენათში მიმდინარე სასწავლო პროცესის ზოგადი სურათი. სასწავლო პროგრამის იმ სამეცნიერო დისციპლინების განხილვით, რომელსაც თავად ღირსი იოანე გვთავაზობს. ესენია: „ქვეყნის საზომლოᲐ“ (გეომეტრია), „რიცხუნი“ (არითმეტიკა), „სამუსიო“ (მუსიკა), ფილოსოფია. რიტორიკა, გრამატიკა და ,,ვარსკვლავთ-მრიცხველობაᲐ” (ასტრონომია). საუბარია, აგრეთვე, იმ შესაძლო დისციპლინების შესახებ, რომელთა სწავლებისთვის არსებობდა მდიდარი მემკვიდრეობა.

# თავი IV. საეკლესიო განათლების პრინციპები და სახელმწიფოებრივი ასპექტები XI-XII საუკუნეების საქართველოში

## § 1. სწავლების საყოველთაოობისა და საერთაშორისოობის პრინციპების შესახებ

ბიბლიური სწავლება ცოდნის შეძენის მსურველებს წოდებრიობის მიხედვით არ განასხვავებს. სწავლების საყოველთაოობის პრინციპები ვლინდება ქრისტიანობის დამკვიდრების პერიოდიდან. წყაროთა მტკიცებით, საკვლევი პერიოდის საქართველოში სამეფო კარზე, წარჩინებულთა წრეში და მონასტრის მოწესეთა შორის, განათლების საქმე იმ დონეზე იდგა, რომ წერილების მიმოწერა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, რასაც იმჟამინდელი დასავლეთ ევროპის ისტორიაში ანალოგიას ძნელად თუ მოვუნახავთ.

მოწადინებული ადამიანისათვის, ეკლესიის წიაღში, ხელმისაწვდომი იყო „საღვთო სჯულისა“ და წერა - კითხვის სწავლა. საზღვარგარეთ სასწავლებლად გასაგზავნად ახალგაზრდები შეირჩეოდნენ ,,ყოველთა კაცთა“ წრიდან.

წმიდა თამარის ეპოქის მძლავრ ეკონომიკაზე დაფუძვნებულ სახელმწიფოში, სადაც „ქვეყნის მოქმედნი“ (გლეხები) გააზნაურდნენ და აზნაურნი გადიდებულდნენ,“ ხოლო „აზნაურისა ყმანი მათთა პატრონთა სწორად“ იმოსებოდნენ. ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მატერიალურ კეთილდღეობის დონის ზრდის შესაბამისად, თანმდევი იქნებოდა სულიერ მოთხოვნილებათა ამაღლების პროცესიც, რაც განაპირობებდა „ოქროს ხანის“ საქართველოს მოსახლეობის დაბალ ფენებში ცოდნის შეძენისადმი ინტერესის გაღრმავებას.

ეკლესია-მონასტრების ფასადებზე გავრცელებული სინგური დამწერლობა ნიშანია საქართველოს მოსახლეობაში წერა-კითხვის მასობრივად გავრცელებისა, რასაც ხელს უწყობდა ის, რომ ევროპული რეალობისაგან განსხვავებით, ჩვენში წერა–კითხვა მშობლიურ ენაზე წარიმართებოდა. სწავლების ის სამეცნიერო სტანდარტები, რასაც უმაღლესი სკოლები ითვალისწინებდნენ, ბუნებრივია, გამიზნული იყო საზოგადოების მცირე ნაწილისათვის. არსებული წყაროები ცხადყოფენ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებოდა არა დიდგვაროვანი, მაგრამ „ათიათასად“ ზრდილობადაფასებული ქვეშევრდომი.

გვიან შუა საუკუნეების საქართველოში ნორმად იყო დამკვიდრებული სწავლების საყოველთაოობის პრინციპი. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი ტენდენცია შეუძლებელია გაჩენილიყო მეყსეულად და მას წინ უძღოდა მრავალსაუკუნოვანი, მათ შორის, ჩვენი საკვლევი პერიოდიდან მომდინარე ტრადიციები.

საეკლესიო სწავლებამ თავისი კეთილისმყოფელი გავლენა იქონია სახალხო პედაგოგიკის იდეოლოგიური საფუძვლების ფორმირებაზეც. საოჯახო ცხოვრების საფუძველი გახდა ქრისტიანული მორალი. ღვთისმოშიში ოჯახის ფენონენმა, საკრალური მნიშვნელობა შეიძინა. ოჯახის, როგორც მცირე ეკლესიის სახით, ქრისტიანულმა აზროვნებამ დაამკვიდრდა სოციალური სტრუქტურის ახალი ტიპი. ძველ საქართველოში ქალთა განათლება ისევე საყოველთაო იყო, როგორც ვაჟებისა და მათ თანასწორად ხდებოდა.

სწავლების საერთაშორისოობის ხასიათზე ვარაუდის საშუალებას გვაძლევს ის საერთო–კავკასიური სახელმწიფოს იდეა, რომელიც დავით IV-მ შექმნა. საქართველოს სახელმწიფო აერთიანებდა ოც ქართულ და ოთხ მონოფიზიტურ საერისთავოს, საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქცია მოიცავდა ჩრდილო კავკასიას, დაღესტანსა და ასევე ჰერეთ-ალბანეთის ერთ ნაწილს. ამ მხარეში ქართველ მქადაგებელთა წყალობით ქრისტიანობის გავრცელება ნიშნავდა ქართული ენის, ქართული კულტურის, განათლების, მწიგნობრობის და ენის გავრცელებასაც.

„ოქროს ხანის“ საქართველოში აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა მძლავრი ქართული სამონასტრო კერები, სადაც არსებობდა მდიდარი წიგნსაცავები და მიმდინარეობდა საგანმანათლებლო საქმიანობა. X საუკუნიდან არსებობდა ოსეთის ეპარქია, სადაც ოსთა შვილებს ასწავლიდნენ ქართულ ენაზე წერა-კითხვას.

ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიციებითა და ქართულენოვანი წარწერებით აიგო ტაძრები სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში. აღსანიშნავია, რომ ეს ხდებოდა არა იმდენად სამეფო ხელისუფლების ინიციატივით, არამედ, ადგილობრივი საზოგადოების აქტიურობით, რამდენადაც ისინი თავად ისწრაფვოდნენ ძლიერ ქართულ სახელმწიფოში, ქართულ კულტურულ გარემოში ინტეგრირებისაკენ. საკვლევ პერიოდში ცხადად შეიმჩნევა ჩრდილო კავკასიის მთიანეთის მოსახლეობის კულტურული ასიმილაციის, ქრისტიანული კულტურის დანერგვის პროცესი, რომელიც გამოვლინებულია ქართული ეკლესიების მშენებლობით და ბუნებრივია, საეკლესიო განათლების თანხლებით.

გენათის უმაღლესი სკოლის შექმნა, უდაოდ, განიხილებოდა იმ მემკვიდრეობითობის ფონზეც, რომელიც ეფუძნებოდა ჩვენში უმაღლესი სკოლის არსებობის უძველეს ტრადიციებს. მეფემ გენათი ჩაიფიქრა „ყოვლისა აღმოსავალისა“ უპირატესად, რაც იდეაშივე შეიცავს საერთაშორისოობის პრინციპს. XI-XII საუკუნეებში ჩვენში ფართო მასშტაბით გაგრძელდა ქართველი ახალგაზრდობის საზღვარგარეთ განათლების მიღების ტრადიცია. საერთაშორისოობის ნიშნებს შეიცავს პეტრიწონის

მონასტრის ტიპიკონით განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ქართული ენა და წერა-კითხვა იცოდნენ სხვა ტომის ბერებმაც, რაც ქართული ენის გავრცელების მასშტაბებზე მიგვანიშნებს.

არაბთა ბატონობისას თბილისში ფუნქციონირებდა მუსლიმური განათლების ცენტრი და ქართულ–არაბულ სამყაროთა შორის ორმხრივი საგანმანათლებლო ურთიერთობები. წყაროთა მოწმობით, თბილისიდან სასწავლებლად მიდიოდნენ აღმოსავლეთის უმაღლეს სკოლებში. თბილისში სასწავლებლად ჩამოდიოდნენ მუსლიმები.

საქართველოში სწავლების საყოველთაოობის, სამართლიანობისა და თანასწორობის ქრისტიანულ–დემოკრატიული მიმართულებით გატარებული ღონისძიებები რამდენიმე საუკუნით უსწრებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც ანალოგიური მოვლენები მხოლოდ XIII საუკუნიდან დაიწყო და დასავლური ეკლესიიდან სასკოლო ცხოვრების გამოყოფასა და საუნივერსიტეტო მოძრაობის დაწყებაში გადაიზარდა.

## § 2. სამეფო კარის საგანმანათლებლო პოლიტიკა

მძლავრი ქართული ფეოდალურ სახელმწიფო არსებობდა მართვა-გამგეობის სისტემით, სამოხელეო აპარატითა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მუშაკთა მთელი სპექტრით. ბუნებრივია, რომ იქნებოდა სკოლები, რომლებიც მოემსახურებოდა სამხედრო წინამძღოლთა, სახელმწიფო მოხელეთა, გადამწერთა, მკურნალთა, მშენებელთა და სხვათა აღზრდას. როგორი იყო ამ თვალსაზრისით, საერო სფეროში არსებული სკოლების სისტემა, უცნობია, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნავდით, საკვლევ პერიოდში ჩანს, რომ ცოდნის მიღების ძირითადი ადგილი კვლავაც სამონასტრო სკოლები იყო.

XI-XII საუკუნეებში ეკლესიების მომრავლება სამეფო კარის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგიც იყო. მეფის ხელისუფლება და დიდებულთა ფენა, მორალური და მატერიალური მხარდაჭერით, ენერგიულად მონაწილეობდა ეკლესიათა მშენებლობაში, რაც მათთან არსებული სკოლების ორგანიზებასაც გულისხმობდა. ადრეული ქრისტიანობის ელემენტარული სკოლებიდან მოყოლებული, ვიდრე დავითის სამეფო სასწავლებლამდე, წარმატებები მიიღწეოდა საერო და საეკლესიო ხელისუფალთა სინერგიული მოქმედებებით. ისევე, როგორც საზოგადოდ, ამ სფეროშიც, ეკლესია გახდა სამეფო ტახტის საყრდენი ბურჯი, ხოლო მეფე – ეკლესიისათვის მშვიდობისა და წესრიგის გარანტი.

სამეფო საჭეთმპყრობელთა საგანმანათლებლო საქმიანობისადმი მზრუნველობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა ბაგრატოვანთა დინასტიის გამეფების პერიოდიდან. ხშირ შემთხვევაში, საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის შედეგები განპირობებული იყო ამ ორი შტოს საუკეთესო წარმომადგენელთა პიროვნული ღირსებებით, რაც წონასწორობისა და ჰარმონიის გარანტიით განმტკიცებდა მათ ერთობას. ასე იყო ყოველთვის, როცა საქართველოში კათოლიკოსობდნენ მეფეთა შესადარი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატრიარქები და მეფობდნენ საპატრიარქო ღირსებებით შემკული ხელისუფალნი. ერისა და ბერის ერთიანობა, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და მართლმადიდებლური ცხოვრების წესზე დაფუძვნებული საერო ხელისუფალთა მოღვაწეობა და საეკლესიო მსახურთა ეროვნულ–სახელმწიფოებრივი აზროვნება ქმნიდა იმ სინერგიას, რომელიც ვრცელდებოდა ერთიან ეროვნულ კულტურულ სივრცეში. სულიერ ღირებულებათა გაუმიჯნავმა ერთიანობამ წმინდანობით გააპატიოსნა ორივე მხარის არაერთი სახელი.

საყოველთაო მაგალითის ძალას იძენდა სამეფო კარის ზრუნვა საგანმანათლებლო საქმეზე, მომავალი თაობის მართლმორწმუნეობითა და ზნეკეთილად აღზრდისათვის მოშურნეობა, რაც განათლებისა და განათლებისათვის ზრუნვის მუდმივი ნიშნული იყო ძველ საქართველოში.

# დ ა ს კ ვ ნ ა

ამრიგად, XI–XII საუკუნეების საქართველოში არსებობდა მძლავრი საეკლესიო საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც აერთიანებდა უმაღლეს და უფრო დაბალი საფეხურის სასწავლებლებსა და სკოლებს.

კვლევის შედეგად მიღებული კონკრეტული თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მონაცემები ცხადყოფს, რომ გენათის უმაღლესი სკოლა შექმნილია პეტრიწონის ანალოგიით. ტრადიციათა მემკვიდრეობითობის საფუძველზე დასტურდება პეტრიწონისა და გენათის მონასტერთა ქტიტორების: გრიგოლ ბაკურიანის ძისა და დავით აღმაშენებლის მსოფლმხედველობრივი ნათესაობა, რაც გამოიხატება ორივე ლავრის არქიტექტურული ანსამბლების შემადგენლობის, სიმბოლოთა ერთგვაროვნებაში, მათში არსებულ საგანმანათლებლო ცენტრებში მიმდინარე სამეცნიერო პროცესებისა და უმაღლეს სკოლებში არსებული სასწავლო–მეთოდოლოგიური ხასიათის მონაცემების მსგავსებებში.

მონასტერთა ქვითმეტყველებით გაცხადებული პეტრიწონისა და გენათის სასწავლო ემბლემათა არსებობა მოწმობს, რომ საქმე გვაქვს იმჟამინდელი ქართული და სავარაუდოდ, ევროპული სივრცისათვის ისეთ ახალ შემთხვევასთან, როგორიცაა მათი საგანმანათლებლო სიმბოლოები, - საუნივერსიტეტო ჰერალდიკური ნიშნები ანუ ემბლემები. გენათის უმაღლესი სკოლის ემბლემა ფორმითა და შინაარსით პეტრიწონის ემბლემის მოდიფიცირებული, განვითარებული და სრულყოფილი ვარიანტია. შედარებითი ანალიზის მეთოდით ემბლემათა მსგავსების შესწავლის საფუძველზე, ვლინდება მათი იდეურ-კონცეპტუალური მსგავსება და საერთო დამახასიათებელი ნიშნები. ემბლემათა კომპოზიციათა მიხედვით, შესაძლებელია ვარაუდი, რომ ამ უმაღლეს სკოლებს გააჩნდათ ფართოპროფილიანი საერო სასწავლებლისათვის დამახასიათებელი საყოველთაოობის და საერთაშორისოობის ნიშნები.

ფიზიკურ სიმბოლოთა არსობრივი ერთიანობისა და სულიერი მეტყველების ეს ნათესაობა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ შესაძლებელია ორივე შემთხვევაში ერთი და იმავე ავტორთან გვქონდეს საქმე და იგი ეკუთვნოდეს ღირს მამა იოანე ჭიმჭიმელს (პეტრიწს).

პეტრიწონის მონასტრის სიახლოვეს (როდოპის მთები, სოფ. სიტოვო) მდებარე უძველესი საიდუმლო წარწერიანი კლდის ირგვლივ არსებული ბულგარული ისტორია შესაძლებელია ჩაითვალოს პეტრიწის შესახებ იოანე ბაგრატიონის ცნობების უტყუარ მტკიცებულებად, რაც თავის მხრივ, იძლევა არაერთი საკითხის დადასტურების, ახლებური შეფასებისა და დასკვნების გამოტანის საშუალებას. მათ შორისაა: პეტრიწონის მონასტრის დაარსებისა და მისი სახელდების, იოანე ჭიმჭიმელის კუთხური წარმომავლობის, მისი პეტრიწად წოდების, იოანე ჭიმჭიმელისა და პეტრიწის იგივეობისა და სხვა საკითხები. ამგვარი ხედვა შესაბამისობაშია XVIII-XIX საუკუნეების ტრადიციასთანაც, რომელიც დიდ იოანეს იხსენიებს ოთხი სხვადასხვა, მაგრამ ერთ პიროვნებასთან იდენტიფიცირებული სახელით. ჩვენი ვერსიით, ჭიმჭიმელი არ არის ტოპონიმური წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი და ქართულმა საზოგადოებამ მზესავით ბრწყინვალე გონების მეცნიერ ბერს მხატვრულ-მეტაფორული წოდება ჭიმჭიმელი („მზე ზენიტში“) ელინთა მიერ შერქმეული სახელის საპირწონედ შეუფერა.

გენათის უმაღლეს სკოლას, როგორც ევროპის უმაღლესი სკოლების ისტორიაში აკადემიებიდან საუნივერსიტეტო ფორმაზე გადასვლის პერიოდის ორიგინალურ მოვლენას, დაარსების პერიოდში გააჩნდა მისი თანამედროვე ევროპული უმაღლესი სკოლებისათვის დამახასიათებელი, ანუ საუნივერსიტეტო განათლების რეალური ნიშნები, ხოლო ზოგიერთი პარამეტრით აღემატებოდა კიდეც მათ (ნეოპლატონური იდეების შემწყნარებლობა, მეცადინეობების ჯგუფური ფორმა და სხვ.).

გენათის მონასტერს ახასიათებდა კინოვიალური თვითმყოფადობა. სასწავლებლის რექტორი აღიარებდა მხოლოდ მეფის უმაღლეს უფლებას. მსგავსი უფლებრივი პარამეტრები არ გააჩნდა არცერთ იმჟამინდელ უნივერსიტეტს. გენათის „ინტელექტუალურ ქალაქს“ (ღირსი ექვთიმე თაყაიშვილი ჰქონდა თეორიული და სასწავლო დანიშნულების ინფრასტრუქტურა, თვითკმარი

ეკონომიკა, სასწავლო ცენტრისათვის შესატყვისი ბაზა, სპეციალური შენობებით (სასწავლო კორპუსი, სკრიპტორიუმი, ქსენონი, ობსერვატორია), უმაღლესი სკოლისათვის ნიშანდობლივი სიმბოლო და სხვა.

აღმაშენებელ–პეტრიწისეული სახელწოდება - „გენათის“ (ძველქართულად – „განათდი“) შერჩევა განპირობებულია ქრისტოლოგიურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით. სახელწოდება „გაენათს“ („გენათის“) როგორც ფუძექართული ენის ერთ-ერთ უძველეს სიტყვას, დღემდე მტკიცედ ინახავს საეკლესიო ლექსიკა „ქუთათელ-გაენაელის“ წოდებრივი კომპოზიტის სახით. ჩვენი ვერსიით, „გენათი“ მონასტრის იდეური სახელწოდებაა, ხოლო „გელათი“ - ელადასთან მიმსგავსებული, მცირე ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული ფორმა.

მონასტრის სახელდების ჩვენეული ვერსია თანხმობაშია ქართული სახელმწიფოს იმჟამინდელი მსოფლმხედველობრივი თვითმყოფადობის გამოვლინების ტენდენციებთან. ამავე დროს, ეს არის იმჟამინდელი საქართველოს კულტურულ-შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი აზროვნების შედეგი, რასაც საფუძვლად უდევს ძველი მსოფლიოს რელიგიურ-ფილოსოფიური სკოლებიდან მომდინარე საგნისა და იდეის სახელდების ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ონომასტიკური პრინციპი.

მონასტრის იდეური სახელწოდებაში გაცხადებული იყო ერთი მხრივ, სასწავლებლის მიმართ წაყენებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონცეფცია, ხოლო მეორე მხრივ, მისი ფუნქციონალური ბუნება. ეს ფაქტი ორიგინალურია იმჟამინდელი ევროპის საგანმანათლებლო სივრცისათვის, რამდენადაც ყველა არსებულ სამონასტრო უმაღლეს სკოლას გააჩნდა ტოპონიმური წარმომავლობის სახელი.

სახელდებით „გენათი“ (განათდი-განათლდი), გონების განათების-განათლების მოწოდებით, ახალმა მონასტერმა სწავლისა და ცოდნის შეძენის პროცესისა და შედეგის აღმნიშვნელ ტერმინებად ქართულ ლექსიკონში საბოლოოდ დაამკვიდრა: „განათლება“ და „განათლებული.“

გენათის ცენტრალური ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა, რადგანაც, პირველი: ამას ადასტურებენ მისი პირველმკვლევარები; მეორე: ახალი სამონასტრო კომპლექსი აგებულია პეტრიწონის მონასტრის საღვთისმეტყველო კონცეფციათა ანალოგიების საფუძველზე, რომელთა რიგში უნდა მოვიაზროთ ცენტრალურ ტაძართა სახელობითი მსგავსებაც და მესამე: ტაძრის სახელდების ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია მისი ცენტრალური ფრესკა. გენათში ასეთია ღვთისმშობელის მიძინების ფრესკა.

გენათის ლავრის მშენებლობისა და სასწავლებლის დაფუძნების საქმეში, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული თვალსაზრისით, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ღირსი იოანე ჭიმჭიმელი (პეტრიწი). გენათის საგანმანათლებლო ცენტრი იყო წმიდა მეფე დავითისა და მამა იოანე პეტრიწის ერთსულოვანი მოღვაწეობის შედეგი. ამ ურთიერთობის იდეური საფუძველი იყო სახელოვანი მხედართმთავრისა და პეტრიწონის ქტიტორის გრიგოლ ბაკურიანის ძის ფენომენი. „ყოველთა ქართველთა მასპინძლის“ მრავალმხრივი დამსახურების მიმართ დედაეკლესიის პატივისმიგების გამოხატულებაა „მეწიეთის მარხვანში“ მისი მოხსენიება ოთხ დიდ ქართველ წმინდან–განმანათლებელთან ერთად.

უმაღლესი სკოლების ადრეული პერიოდისა და საღვთისმეტყველო–მეცნიერული აზროვნების განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევით წარმართული საეკლესიო საგანმანათლებლო საქმიანობა საერთო ევროპული კულტურის მონაპოვრია.

## გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი

1. მეტრეველი რ., ფარჩუკიძე თ., ,,მეფობისა შარავანდედი'' (დავით აღმაშენებელი) წიგნში „ნათელი ქრისტესი,“ თბილისი, 2003.

2. ფარჩუკიძე თ., ,,ძალითა ზეგარდამოითა,'' წიგნში „ნათელი ქრისტესი,“ თბილისი, 2003.

3. ფარჩუკიძე თ., სისვაძე ა., ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის არსი და მისი ღირებულების შეფასება, ნაწილი 1, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული, N 3, თბილისი, 2012.

4. ფარჩუკიძე თ., სისვაძე ა., ცოდნის, როგორც ეკონომიკის კატეგორიის არსი და მისი ღირებულების შეფასება, ნაწილი 2, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული, N 4, თბილისი, 2013.

5. ფარჩუკიძე თ., ანტონ პირველის საგანმანათლებლო მოღვაწეობა, საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2010.

6. ფარჩუკიძე თ., ცოდნის, როგორც საღვთისმეტყველო კატეგორიის ზოგადმეცნიერული ასპექტები, საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2011.